ამომრჩეველო!

გაუფრთხილდი საქართველოს, ხმა მიეცი შინამტერთაგან საქართველოს გადარჩენას!

შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც,
გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ,
ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო,
დაულეველო სამშობლოვ ჩემო!

შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი
და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი.

ოთარ ჭილაძე

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 1 ოქტომბერი. 2021 წ. №182 (9301) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, ბოგინინც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

მაოხრებელი 4-5 გზირი ასანთით ხელში...

მოდის, მოდის, მაგრამ... არ მოდის!..

რატომ ტოვებს ხალხი 8 ოკუპირებულ ახალგორს?!

რუსიფიკაციის საგანგაშო მასშტაბი

ასე იყიდება საქართველო!

6

თემურ ჭიჭინაძე: ნამახვანჰესი საქართველოს არც ენერგოდამოუკიდებლობას და არც დაბალ ტარიფს არ მოუტანდა

ღიმილის კაცი მერაბ ბერაძე 85 წლისაა



7

ელვის პრესლი - „როკენროლის მეფე“

9



ემანუელ მაკრონი: საფრანგეთი მოუწოდებს საქართველოს, რომ...

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2021 წლის 28 სექტემბერს ტრიუმფალურ თაღთან, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის შეხვედრის შესახებ კომუნიკე გამოქვეყნდა. კომუნიკეს ტექსტს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სამშაბათს, 2021 წლის 28 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტთან, სალომე ზურაბიშვილთან ერთად უსელმძღვანელა 1921 წლის იანვარში საფრანგეთის მიერ საქართველოს ცნობის ას წლისთავთან დაკავშირებულ ცერემონიას. ეს საგანგებო ცერემონია ხაზს უსვამს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მნიშვნელობასა და საფრანგეთის მიერ გასულ საუკუნეში შესრულებულ განსაკუთრებულ როლს საქართველოს თავისუფლების, ტერიტორიული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვაში.

ეს საერთო ისტორია და ფრანგ და ქართველ ხალხებს შორის დამყარებული მჭიდრო კავშირები საფუძვლად უდევს განსაკუთრებულ ურთიერთობას, რომელიც ჩვენ ორ ქვეყანას თავისუფლების იდეის გარშემო აერთიანებს. მისი განსახიერება არის ვიცე-პოლკოვნიკ ამილახვარის სამსახური და თავგანწირვა თავისუფალი საფრანგეთისთვის 1942 წელს, ელ ალამეინში, ვიცე-პოლკოვნიკისა, რომელიც ცნობილია ამ სიტყვებით: „ჩვენ, უცხოელები, მხოლოდ ერთი ფორმით თუ დავუმტკიცებთ საფრანგეთს მადლიერებას ჩვენი მიღებისთვის, ეს არის მისთვის სიკვდილი“.

საფრანგეთი, რომელიც საქართველოს გვერდით იდგა მისი ისტორიის ყველაზე რთულ მომენტებში, გააგრძელებს მის მხარდაჭერას სტაბილურობის შენარჩუნებასა და დემოკრატიის განმტკიცებაში. ის ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოში ფუნდამენტური უფლებების მუდამ უფრო ღრმა დამკვიდრების, სახელდობრ პრესის თავისუფლების და დემოკრატიული და სასამართლო ინსტიტუტების გაძლიერების მიმართ, უმაღლესი ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

საფრანგეთი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ მომავალი მუნიციპალური არჩევნები შეესაბამებოდეს ევროკავშირის დემოკრატიულ ღირებულებებს, ნორმებსა და სტანდარტებს. ის განსაკუთრებული ყურადღებით იქნება დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაციის ნებისმიერი მცდელობის მიმართ, რომელიც ქართველი ხალხის მისწრაფების და ევროკავშირის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მჭიდრო კონტაქტზე დარჩება საქართველოს პრეზიდენტთან, რათა გააგრძელოს მუშაობა ორ ქვეყანას შორის კავშირების გაძლიერების სასარგებლოდ“, — აღნიშნულია კომუნიკეში.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 1800-ზე მეტი ბიზნეს-პროექტი დაფინანსდება და 53 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ბიზნესის მხარდაჭერისა და დასტაბილურების მიზნით არაერთი პროექტი შეიქმნა, შედეგად სახეზე გვაქვს 1800-ზე მეტი დაფინანსებული პროექტი და 53 000 ახალი სამუშაო ადგილი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელებული ბიზნეს-პროექტების ინტერაქციული რუკის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში დაახლოებით 87 000-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ჯამში ინვესტირებულია 4 მილიარდი ლარი, საიდანაც 800 მილიონზე მეტი სახელმწიფოს თანადაფინანსებაა. პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში კი მილიარდ 800 მილიონია ინვესტირებული, თითქმის 190 მილიონი მთავრობის დაფინანსებაა და 30 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო მეტად ამბიციური გეგმები, მომდევნო წლების განმავლობაში ჩვენ ვგეგმავთ, მხოლოდ „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 2,5 მილიარდი ლარის ინვესტირებას. მთავრობის მეთაურის თქმით, 100 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება და 1 300-მდე ახალი საწარმო დაფინანსდება.

„რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ძალიან ამბიციური გეგმები გვაქვს ამ მიმართულებითაც. ჯამში 7 მილიარდი ლარის ინვესტიცია იგეგმება მომდევნო წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, აქაც ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა არის განსაზღვრული. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ეკონომიკის მინისტრს, ქალბატონ ნათია თურნავას, ბატონ ლევან დავითაშვილს, ყველა იმ ადამიანს, ვინც პირველივე დღეებიდან იყო ჩართული ამ პროგრამების შექმნაში. ჩვენ აქტიურად გავაგრძელებთ ბიზნესის მხარდაჭერას, იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ ქართული ეკონომიკა, შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი და რაც მთავარია, დავამარცხოთ სიღარიბე. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

თუ ჩამოდის ეს კაცი, ჩამოვიდეს. თუ ჩამოვა, დავიჭერთ, ვინც ხელს შეუშლის, იმასაც დავიჭერთ!

არ ვიცი, რამდენჯერ უნდა გავიმეორო ერთი და იგივე სააკაშვილის ჩამოსვლის შესახებ. ჯერ ერთი, **„ბავშვი არ დაბადებულაო და აბრამს არქმევდნენ“ — ჩამოდის ეს კაცი და ჩამოვიდეს. თუ ჩამოვა, დავიჭერთ, ვინც ხელს შეუშლის, იმასაც დავიჭერთ. სხვა რა გითხრათ ამის შესახებ?** — ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კითხვას ექს-პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ჩამოსვლის შესახებ.

„არავითარი სამოქალაქო დაპირისპირება მე არ დამიანონსებია. ეს გააკეთეს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა, როცა თქვეს, რომ ისინი ხელს შეუშლიან სააკაშვილის დაკავებას. მე ზოგადად ვთქვი, რომ ოპოზიციას არ შეუძლია საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება კი. პიკის დროს მათ 5 000-ზე მეტი ადამიანის მობილიზება ვერ შეძლეს. ამის ფონზე მე ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებას“ შეუძლია ზოგადად 1 საათში მინიმუმ 100 000 მხარდამჭერის მობილიზება მშვიდობიანი დემონსტრაციისთვის. სააკაშვილს, თუ ის ჩამოვა, სჭირდება 10 გამოცდილი პოლიციელი, რომელიც მას დააკავებს. მთავრობას აქვს სრული მზაობა იმისთვის, რომ დაიცვას წესრიგი, რათა არ მოხდეს კანონდარღვევა ან კანონის აღსრულების ხელის შეშლა, და ჩვენ ამ ყველაფერს მშვიდობიანად და კვალიფიციურად გავაკეთებთ“!

ეს არის ოპოზიციის ხელწერა და მათი სახე!

ირაკლი ღარიბაშვილი ვიზალიბერალიზაციის შესაძლო შეწყვეტის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა. პრემიერმა ამ ცნობების გაჟღერებას დეზინფორმაციისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მავნებლობის კლასიკური მაგალითი უწოდა.

„ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ხელშესახები პროგრესი და მიღწევა არის უვიზო რეჟიმი. ჩვენი მოქალაქეები დღეს თავისუფლად გადაადგილდებიან ევროპის მიმართულებით. წინა მთავრობის დროს ეს წარმოუდგენელი იყო და ალბათ, ვერავინ იოცნებებდა ამაზე. ჩვენ ამას მივაღწიეთ და გუშინ ვიხილეთ კლასიკური დეზინფორმაცია, თითქოს რაღაც საფრთხე ემუქრებოდა უვიზო რეჟიმს. სამწუხაროდ, ეს არის ოპოზიციის ხელწერა და მათი სახე. რა თქმა უნდა, ეს არის ტყუილი. გუშინვე დადასტურდა, მათ შორის ევროპელი ლიდერების მხრიდან, რომ მსგავსი არაფერი იგეგმება და არ მოხდება ეს“.

<u>კელი დეგნანი:</u> საქართველოს მშვიდი არჩევნები სჭირდება!

არ მინდა სპეკულირება, რას იზამს ან რას არ იზამს სააკაშვილი. ამაზე გაკეთდა ბევრი კომენტარი, მათ შორის სააკაშვილის მხრიდან, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შესაძლო დაბრუნებასთან დაკავშირებით განაცხადა. ელჩის თქმით, საქართველოს მშვიდი არჩევნები სჭირდება.

„ჩვენ შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ ის, რაც საქართველოს სჭირდება, არის მშვიდი, მშვიდობიანი გარემო და არა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ძალადობა. ეს არის ის, რაშიც ყველამ წვლილი უნდა შეიტანოს. იმედია, ეს არის ის, რასაც დავინახავთ ხვალ და არჩევნების შემდეგ დღეებში“.



ნის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე. შეხვედრაზე მხარეებმა წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ისაუბრეს და ბოლო დროს მომხდარი ინციდენტები განიხილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა და სახალხო დამცველმა საარჩევნო პერიოდში შესაძლო დარღვევებზე ინფორმაციის გაზიარების და მყისიერი რეაგირების მიზნით აქტიური თანამშრომლობისთვის მზაობა გამოთქვეს.

შინაგან საქმეთა მინისტრი სახალხო დამცველს შეხვდა

შინაგან **საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა სახალხო დამცველთან ნინო ლომჯარიასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე და მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, ასევე, ომბუდსმენი.**

კეზერაშვილსა და ნინუას მილიონობით ევროს მიტაცებას ედავებიან

საქართველოს **თავდაცვის სამინისტროს, დავით კეზერაშვილისა და მისი თავდაცვის მინისტრობის დროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის, ალექსანდრე ნინუას წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეაქვს, თავდაცვის უწყების მიმართ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით,** — ამის შესახებ ინფორმაციას უწყება თავად ავრცელებს.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს უმაღლეს ინსტანციაში უკვე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულები, დავით კეზერაშვილი და ალექსანდრე ნინუა ცნობილ იქნენ დამნაშავეებად. სასამართლოების სამი ინსტანციის განაჩენებით დადგენილია, რომ ალექსანდრე ნინუას მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებიტორულ დავალიანებად დაერიცხა 5 060 000 ევრო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ხოლო დავით კეზერაშვილმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიითვისა მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები. აღნიშნული საქმე შეეხება მხოლოდ ერთ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფოსგან 5 მილიონზე მეტი ევროს მიტაცება მოხდა. სისხლის სამართლის საქმე არ გახლავთ მხოლოდ კორუფციასთან დაკავშირებული შემთხვევა, რადგან აღნიშნული თანხა უბრალოდ გადარიცხულ იქნა ოფშორულ კომპანიაში, ყოველგვარი საქონლის შეძენისა და მიწოდების გარეშე. ეს ქმედება ნათლად ასახავს იმ არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, რასაც წინა ხელისუფლება მიზანმიმართულად ავლენდა.

საქართველოში 1 მილიონი ადამიანი არ ქმნის დოვლათს!

საქართველოს **მოსახლეობის დიდი ნაწილი, 1 მილიონამდე ადამიანი, ეკონომიკურ პროცესებში არ მონაწილეობს. ამ მხრივ ვითარება არც 2020 წლამდე იყოს სახარბიელო, თუმცა კორონავირუსის პანდემიამ საგრძნობლად დაამძიმა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა და ეკონომიკურად პასიური ადამიანების რაოდენობა რამდენიმე ათასი ერთეულით შემცირდა, მდგომარეობა ისევ მძიმე დარჩა.**

როგორც სტატისტიკოსი **სოსო არჩვაძე** „კომერსანტთან“ აცხადებს, ეკონომიკის კონიუნქტურის გაუმჯობესებამ 112 000-ით გაზარდა სამუშაო ძალა, რამაც შრომის ბაზარზე გარკვეული პოზიტიური გავლენა მოახდინა. კერძოდ, უმუშევრობა მატულობს, მაგრამ დასაქმებაც 3-ჯერ გაზრდილია.

„საქართველოს ჰყავს მილიონი მოქალაქე, რომელიც ეკონომიკურად არის არააქტიური. ამაში შედიან 15 წელს ზემოთ ადამიანები, რომლებიც არ არიან დასაქმებულები და არც ეძებენ სამუშაოს. ეს შეიძლება იყოს დიასახლისი, შშმ პირი, სტუდენტები, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ადამიანები, მსახურები, რომლებიც კელია-მონასტრებში ცხოვრობენ, ყაზარმულ მდგომარეობაში მყოფი ჯარისკაცები და სხვა, რომელთა რაოდენობა ჯამში გვაძლევს ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას. 2021 წლის მეორე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, ეკონომიკურად აქტიური მოქალაქეების რაოდენობა გაიზარდა. ვინც არ ცდილობდა სამუშაოს მოძიებას, ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების კვალობაზე, გადაწყვიტეს ეცადათ ბედი და დაიწყეს სამუშაოს ძებნა ანუ გაიზარდა ეკონომიკურად აქტიური მოქალაქეების რაოდენობა არააქტიურთა შემცირების ხარჯზე. პირობითად, თუკი დიასახლისი საშინაო საქმეებით იყო დაკავებული, ახლა ჩათვალა, რომ სამსახურში დაკავდეს ან თავისი ბიზნესი წამოიწყოს. ასეთი მაგალითების ხარჯზე, 112 000-ით გაიზარდა სამუშაო ძალა, აქედან 85 000-ით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა და 27 000-ით უმუშევართა რაოდენობა“, — განმარტავს არჩვაძე.

მისი თქმით, დასაქმების ზრდა ეკონომიკის გაჯანსაღებამ გამოიწვია და ტრენდი რომ შენარჩუნდეს, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფილის შეცვლის და რიგ სხვა ღონისძიებებს, რის გავლენითაც გაიზრდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა და შემცირდება არააქტიურის.

შრომის ბაზარზე არსებული ვითარების საილუსტრაციოდ საინტერესო კვლევა ცოტა ხნის წინ PMC -მა გამოაქვეყნა.

კვლევითი ცენტრი BAG-თან ერთად ყოველკვარტალურ გამოკითხვას ატარებს და დასაქმების ბარომეტრს აქვეყნებს.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, 2021 წლის მესამე კვარტალის მოლოდინები უფრო პოზიტიურია, ვიდრე მეორე კვარტალში დაფიქსირებული ცვლილებები. გამოკითხული კომპანიების 31.4% დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას ელის 2021 წლის მესამე კვარტალში, 64.7% ცვლილებას არ გეგმავს, ხოლო შემცირებას მხოლოდ 3.9% აპირებს.

$4 334 000 000-ის ოდენობის ამერიკული ფინანსური დახმარება საქართველოს

უსინდისოდ უგულებელყოფილი მილიონები!

რუსეთის ფედერაცია დიდი ხანია, აქტიურად იყენებს პროპაგანდას, როგორც იარაღს სხვადასხვა ძვეყნებში საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ჩვენს ქვეყანაში მის მთავარ სამიზნეს წარმოადგენს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსი, შესაბამისად, ყველა ის სახელმწიფო თუ არასამთავრობო ინსტიტუტი, პოლიტიკური ძალა თუ ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველოს ამ საგარეო პოლიტიკურ კურსს ემხრობიან და ატარებენ. ამავე კონტექსტში რუსული სადეზინფორმაციო პროპაგანდის ხშირ სამიზნეს წარმოადგენენ საქართველოს დასავლელი პარტნიორები და ინსტიტუტებიც, მათ შორის – ევროკავშირი, ნატო, ევროპის ქვეყნები და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი აშშ. რუსული პროპაგანდა მიზანმიმართულად ეწევა დასავლური დემოკრატიული ღირებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის, თავისუფალი ბაზრის პრინციპების დისკრედიტაციას.

სხვადასხვა მედიასაშუალებებისა და ინტერესთა ჯგუფების გამოყენებით აშშ-ის მადისკრედიტირებელი კამპანიის წარმოება ანტიდასავლური და/ან პრორუსული პროპაგანდის აქტორების ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. მიზნის მისაღწევად ისინი იყენებენ სხვადასხვა ნარატივებს, რათა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა უკიდურესად ნეგატიურ ჭრილში წარმოაჩინონ, საბოლოო ჯამში კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში ღიად პრორუსული (ან, მინიმუმ, ანტიდასავლური) პოლიტიკური ძალების მოყვანით საქართველოს რუსული გავლენის სფეროში დაბრუნება უზრუნველყონ.

რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი სადეზინფორმაციო ნარატივი ასე ჟღერს: „აშშ-ის სამსახურში მყოფი საქართველო ვერ აცნობიერებს, რომ საპასუხოდ ვაშინგტონისგან ვერანაირ სარგებელს ვერ იღებს – პირიქით, აშშ იყენებს საქართველოს საკუთარ ინტერესებში ქვეყნის საზიანოდ“.

ამ ცრუ ნარატივის გასაბათილებლად მკითხველს კონკრეტულ – ამჯერად ციფრებში გამოხატულ მონაცემებს ვთავაზობთ იმაში დასარწმუნებლად, რაოდენ დიდია რეალურად, საქართველოსადმი აშშ-ის ჯერ მარტო ფინანსური დახმარება, რომლის დისკრედიტაციასაც ცდილობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპანტი რუსეთი. 1992-დან დღემდე დახმარების სახით გამოყოფილი ფინანსების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია **„აქცენტმა“** საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოდან გამოითხოვა.

* * *

1990-იან წლებში (1992-დან 2000 წლის ჩათვლით) აშშ-ის მთავრობამ საქართველოსთვის საერთო ჯამში, 860 მლნ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გამოყო (წელიწადში საშუალოდ 96 მლნ აშშ დოლარი).

2000-იან წლებში საქართველო ერთ სულ მოსახლეზე აშშ-ის ყველაზე მეტი დახმარების მიმღები გახდა ევროპასა და ევრაზიაში. 2001-დან 2007 წლამდე აშშ-ის მიერ ჩვენი ქვეყნისთვის გამოყოფილი დახმარების ოდენობამ 945 მლნ დოლარს გადააჭარბა (წელიწადში საშუალოდ 135 მლნ აშშ დოლარი).

ამასთან, 2005 წელს საქართველოს აშშ-ის „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან“ (MCC) 295 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ხუთწლიანი (2006-2011) გრანტი მიენიჭა გზის, მილსადენისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ასევე აგრობიზნესის განვითარებისთვის.

მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთი შემოიჭრა საქართველოში, შეერთებულმა შტატებმა ჩვენს ქვეყანას დახმარება მნიშვნელოვნად გაუზარდა. აშშ-ის მთავრობამ მყისიერად გამოყო ჰუმანიტარული და გადაუდებელი დახმარების სახით 38 მლნ აშშ დოლარი, რომელიც საქართველოს ამერიკული თვითმფრინავებისა და საზღვაო თუ სანაპირო დაცვის გემების გამოყენებით მიეწოდა.

2008 წლის სექტემბერში იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა საქართველოსთვის დახმარების პაკეტის გამოყოფის თაობაზე, რომლის ოდენობა, სულ მცირე, 1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. 2008-2009 წლებში აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ, საერთო ჯამში, 1,04 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის დამატებითი ფონდებიდან 634 მლნ აშშ დოლარი გამოიყო. კიდევ 100 მილიონი აშშ დოლარი ჩვენმა ქვეყანამ MCC-სგან მიიღო.

2008 წლის ომის შემდეგ საქართველო კვლავაც რჩებოდა ევროპასა და ევრაზიაში აშშ-ის საგარეო ფინანსური დახმარების მთავარ მიმღებად.

1992-დან 2009 წლამდე აშშ-ის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების საერთო ოდენობა 3 მილიარდ 200 მილიონს შეადგენს.

* * *

გარდა ამისა, 1992 წლიდან საქართველოში მუშაობა დაიწყო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID). გასული 27 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა საქართველოს USAID-ს საშუალებით 1.8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია. ამ წარმატებული პარტნიორობის საფუძველზე აშშ-ის მთავრობა ყოველწლიურად დაახლოებით 40 მლნ აშშ დოლარს უთმობს 50 პროგრამას, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს დემოკრატიულ, თავისუფალი ბაზრის მქონე, დასავლურ ორიენტაციას.

USAID-ს მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება შედის აშშ-ის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების საერთო ოდენობაში.

* * *

2010-დან 2016 წლამდე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება (მათ შორის – საგარეო სამხედრო დაფინანსება (FMF) ყოველწლიურად საშუალოდ 77 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

გარდა ამისა, საქართველომ „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან“ (MCC) 140 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის მეორე ხუთწლიანი (2014-2019წწ.) გრანტი მიიღო, ამჯერად – საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და ტრენინგების ხელშეწყობის, ასევე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესწავლის გასაუმჯობესებლად.

2017 წლიდან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და USAID-ს მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება ყოველწლიურად საშუალოდ 123 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა (2020 წელს საქართველომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და USAID-სგან მიიღო 131 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება, მათ შორის, საგარეო სამხედრო დაფინანსება 40 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა).

2021 წლისთვის კონგრესმა საქართველოსთვის 132 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ორმხრივი (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და USAID-ს) დახმარება გამოყო, მათ შორის, 35 მლნ აშშ დოლარი – საგარეო სამხედრო დაფინანსებისთვის.

საერთო ჯამში, 2010-დან 2021 წლამდე აშშ-ის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების ოდენობა 1 მილიარდ 134 მილიონს შეადგენს. ამასთან, 2022 წლისთვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და USAID ქვეყნის ბიუჯეტიდან საქართველოსთვის 120,6 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას ითხოვენ.

მთლიანობაში კი, 1992 წლიდან დღემდე აშშ-ის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების ოდენობა უკვე 4 მილიარდ 334 მილიონ დოლარს შეადგენს.

„ორუჯრედიანები“

ვირის წიხლი უკრაინულ ბიუროკრატიას

„ავიაბილეთებზე ჯავშნის გაუძმებით, მიხეილ სააკაშვილი არა მარტო ყოველდღიურ დილის კრუასანებს, სადილზე – ბორშს „პამპუშკებით“ და სალამოს XXL ზომის „აჭარულს“ შეუნარჩუნებს საკუთარ თავს, არამედ ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს თავის ყოფილ სამშობლოსაც.

უკრაინის სახელმწიფო მანქანის მუშაობაში მეტნაკლებად გათვითცნობიერებულმა ადამიანმა იცის, რაოდენ მოუქნელია, ბიუროკრატიული, უწყებათაშორისი ქიშპობით და დეცენტრალიზაციით გამოირჩევა, თუმცა რუსულ-სლავური მენტალობის დიდი მცოდნის, ოტო ფონ ბისმარკის ცნობილი განმარტების თანახმად: „Русские долго запрягают, но быстро едут“ ამის არაპირდაპირი, სხვათა შორის ჩემი ავტორობით, ქიზიყური ვარიანტი კი გვასწავლის: **„ვირის სტარტერი – წიხლია“.** უბრალოდ პროცესების დაჩქარებას ყოველთვის სჭირდება ან მოტივაცია ან კატალიზატორი. ჩვენს განსახილველ შემთხვევაში – ეს წიხლი უკრაინულ ბიუროკრატიას სწორედ სააკაშვილმა ამოარტყა.

თაროზე იყო შემოდებული მეგის ქარდავას საქმე წლების განმავლობაში. უდარდელად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში, ყოველდღიური ურთიერთობები ჰქონდა მეგობრებთან: „კ.კ.“-სთან, „დ.ჭ.“-სთან, „გ.კ.“-სთან... მის ირგვლივ, ზოგ უწყებაში სააკაშვილის მითითებით და მისი მაღალჩინოსანი დაქალი ჩინოვნიკების მიერ თვეობით „იკარგებოდა“... მნიშვნელოვანი მიმოწერა ქართველ კოლეგებთან, რიგ უწყებაში კი არც არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ ამ ქართველ „გასტროლიორზე“ – მანამ, სანამ სააკაშვილის წიხლი მწარედ არ მოხვდათ.

ერთი მეორის მიყოლებით, უკრაინის „რეფორმატორი“ პირადი შეურაცხყოფების დონეზე ჩაწვდა ყველას – შსს-ს, საიმიგრაციო სამსახურს, უშიშროების სამსახურს, სასამართლოს. რეები არ წუწოდა – კორუმპირებულებო, არაფრის მაქნისებო, მექრთამეებო, ნაძირალებო და ა.შ. ამ დროს, როდესაც შენი გასაკეთებელი საქმე სააკაშვილმა 90%-ით უკვე გააკეთა, საჭირო იყო ამ უწყებების ხელმძღვანელებისათვის ვიღაცას ეკითხა – „არ გიტყდებათ?“, „თავმოყვარეობა არა გაქვთ?“ – და მზერით, თაროზე შემოდებულ მეგის ქარდავას საქმეზე მიენიშნა. ასეთი მიმნიშნებელი ადამიანიც გამოჩნდა – საჭირო დროს და საჭირო ადგილას. დანარჩენი უკვე კოკისპირული, აქამდე არნახული სიჩქარით – უკვე „წიხლამორტყმულმა“ უწყებებმა გააკეთეს, ყოველგვარ ბიუროკრატიაზე ფეხის გადაბიჯებით. და ამ გადაბიჯებაში – გაეროს კომისარიატიც გადალახეს და სტრასბურგის სასამართლოც.

თბილისის აეროპორტში, საფრენ ბილიკზე, მეგის ქარდავას ამბორის ადგილას ჯერ კიდევ არ დაუბრუნდა თავის ჩვეულ ადგილას შეწუხებული მტვერი - საკუთარი მარცხით შეურაცხმყოფილმა სააკაშვილმა უკრაინის ტელევიზიაში აიკაპიწა კიდური მორიგი წიხლის ამოსარტყმელად და დასცხო და დასცხო – საიმიგრაციო და უშიშროების სამსახურებს. იმ დონეზე დასცხო, რომ თავად უკრაინელებმა, საქართველოდან დიდი ჩარევის გარეშეც, იკითხეს...ამ ეტაპზე, უბრალოდ იკითხეს „а что там кстати, по Кахта Кодуа“? – და ამით ჩვენი „სასარგებლო იდიოტი“ კვლავ შეგვახსენეს.

პირადი, პოპულისტური გამოჩენის მანიით შეპყრობილ სააკაშვილს ენა რომ უსწრებს აზროვნებას – მინიმუმ 18-ჯერ ვართ შეჩვეული მხოლოდ საქართველოში მისი დაბრუნების ნაწილში. თუმცა ანალოგიური „ჰაია“ მოუვიდა ქარდავასთან მიმართებაშიც – როდესაც ჯერ გასცა ბრძანება „გლავკანალის“ ხაზით, მეგისის ექსტრადირება შეეფუთათ „პოლიტიკურ გარიგებაში“, თითქოს უკრაინამ იგი განთავისუფლებული მეზღვაურების სანაცვლოდ გადმოგვცა. თუმცა მის გარემოცვაშიც აღმოჩნდა ორუჯრედიანი ბრძენი, რომელმაც შეახსენა – „ჰე... ვერაან! ამ მეზღვაურების განთავისუფლებისა და ამ პროცესის დაჩქარების საქმეში – შენ არ ტრაბახობდი, მე მივიღეო ლომის წილი. აბა დაგიჩქარებია „პოლიტიკური გარიგება“. შენი ლოგიკით, ყოფილიყვნენ საქართველოს ციხეში და მეგისა დღემდე უკრაინაში გვეყოლებოდა...“ ასე რომ, უმადურობაც არ გვშვენის... რაც მთავარია, არ უნდა დავუვიწყოთ, მასე გააგრძელოს“!

დავით ქართველიშვილი

რამაზ საყვარელიძე:

ეს ჩვენი არჩევნების კანონია!..

„ვინც სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს, კომპრომატების სახით, ალბათ, ყველა ვარაუდობს, რომ ამომრჩეველზე გავლენას იქონიებს, რაც ძნელი სათქმელია. როდესაც რაღაც ჭარბად არის, ის გავლენის უნარს კარგავს. ამას ხშირად ვერ ხვდებიან და თავისას აკეთებენ. ვფიქრობ, დარჩენილ დროში კიდევ დაიყრება მასალები, სადაც მაკომპრომენტირებელი ინფორმაცია იქნება განთავსებული, ეს ჩვენი არჩევნების კანონია“, — ასე აფასებს ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე წინასაარჩევნო პერიოდს.

— ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულმა მასალებმა, რომელმაც სავარუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოჟონა, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ იმოქმედა. როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, კიდევ გამოქვეყნდეს ისეთი ჩანაწერები, რაც ასევე მმართველი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ იმუშავებს?

— მმართველი გუნდის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნება არ არის ახალი, თითქმის ყოველთვის ქვეყნდებოდა 2012 წლის შემდეგ, თუმცა, მაინც მმართველი გუნდი რჩებოდა მმართველობაში და ოპოზიცია ვერ იმარჯვებდა და ეს მხოლოდ წინასაარჩევნო ინფორმაციასა და კომპრომატებზე არ არის დამოკიდებული. როდესაც მხარე კომპრომატებს აქვეყნებს, ვისზედაც კიდევ უფრო დიდი კომპრომატები არსებობს გამოუქვეყნებლადაც („ნაციონალებს“ ვგულისხმობ, რომლის 9-წლიანი მმართველობის მაკომპრომენტირებელი ამბები ყველას ახსოვს), ამის ფონზე, რა კომპრომატები უნდა დაუდო ამომრჩეველს, რომ მან გადაწყვიტოს, უარი თქვას მმართველ გუნდზე და დათანხმდეს „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლას?! - ძნელი წარმოსადგენია ასეთი რამ.

— ნარკოტესტთან დაკავშირებით, მთავრობის ყოფილი მეთაურის, გიორგი გახარიას ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა, რომლის სათავეშიც „ქართული ოცნებაა,“ თითქოს ხელი შეუწყო პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის პოპულარობას. თქვენი აზრით, იმ სკანდალური განცხადებების შემდეგ, რომელიც ირაკლი კობახიძისგან მოვისმინეთ, მეტი მხარდამჭერი და გულშემატკივარი ხომ არ გამოუჩნდა გიორგი გახარიას?

— გახარიას თემას რამდენიმე ფაქტორი აქვს, — ერთი გახლავთ „ქართული ოცნება“ და მის მიერ ნათქვამი და გამოქვეყნებული ინფორმაცია, მეორე არის თვითონ გახარია, — გიორგი გახარიას მიმართ დამოკიდებულება იქნება ამ ორ ფაქტორზე დამოკიდებული. რა თქმა უნდა, მოქმედებს ის, რასაც ამბობს მმართველი პარტია, მაგრამ მეორე მხრივ, მათი ეს გამძაფრებული ბრძოლა გახარიას წინააღმდეგ, ამომრჩეველში აჩენს გრძნობას, რომ გახარია „ქართული ოცნების“ არ არის. არც „ნაციონალები“ არიან კეთილგანწყობილი გახარიას მიმართ და ისინიც ცდილობენ მის დისკრედიტაციას. თუ არც „ნაციონალების“ და არც „ოცნების“ არ არის, მაშინ უზარმაზარი რესურსი არის იმ ადამიანების ხმები, ვისაც არც ერთი პარტია არ უნდა, ეს ხმები უფრო მეტად დაიძრება გახარიასკენ. თუმცა, კვლავ ვიმეორებ, აქ მნიშვნელოვანია გახარიას მიერ გადადგმული ნაბიჯები. ვფიქრობ, მან გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელიც არ უნდა გადაედგა.

— კონკრეტულად, რომელ ნაბიჯებს გულისხმობთ?

— მაგალითად, ნარკოტესტთან დაკავშირებით — 16 კანდიდატიდან არავის გაუკეთებია, მხოლოდ გახარიამ გადადგა ნაბიჯი — როგორც დანარჩენ კანდიდატებთან ჩაიარა, ისე ჩაივლიდა მასთანაც. ასევე, შეცდომად მიმაჩნია ის, რომ გახარია ჩაერთო მერობისთვის ბრძოლაში. ძალიან ძლიერი კანდიდატურაა კახა კალაძე და რატომ უნდა დაეჯახო მას მაშინ, როდესაც მერობას არც გახარია აპირებდა ხალხის თვალსაზრისიდან გამომდინარე! საზოგადოებას მიაჩნდა, რომ გახარია ცენტრალური ძალაუფლების, ანუ პრემიერობისთვის მებრძოლი პოლიტიკური ფიგურაა და არა მერობისთვის. ამ გადაწყვეტილებამ, გარკვეულწილად, დააგდო მის მიმართ მოლოდინები.

„რა კომპრომატები უნდა დაუდო ამომრჩეველს, რომ უარი თქვას მმართველ გუნდზე და დათანხმდეს „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლას?!?“

— გიორგი გახარიას შესაძლოა მესამე, ალტერნატიული ძალა ვუწოდოთ?

— ყველა გამოკითხვით მესამე გახარიაა. მისი ფიგურა სერიოზული განხილვის საგანი უნდა იყოს. „ქართული ოცნება“ მას განიხილავს სერიოზულად და იმიტომ აქვს ეს ბრძოლა მის წინააღმდეგ. გააჩნია როგორ დამთავრდება ეს არჩევნები, რომელშიც გახარია ჩაერთო. თუ მან დაძლია ყველა და გაიმარჯვა, რაც თითქმის გამორიცხული მგონია, სულ სხვა იქნება მის მიმართ დამოკიდებულება 2024 წლისთვის, თუ მელიასა და კალაძესთან დამარცხდა, სულ სხვაა. ძლიერი მარცხი პოლიტიკოსისთვის მძიმე იარლიყია, რომელიც ქვემოთ ექაჩება. არის შუალედური შედეგი: გახარიამ შეიძლება დაძლიოს მელია და დამარცხდეს კალაძესთან. ასეთ შედეგს შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა, რადგან კალაძესთან მარცხი მოულოდნელი არ იქნება საზოგადოებისთვის. მელიაზე გამარჯვება იქნება უკვე იმის მკაფიო არგუმენტი, რომ „ნაციონალების“ წინააღმდეგია მერობის შემთხვევაშიც.

— არის თუ არა გიორგი გახარია ბიძინა ივანიშვილის პროექტი?

— თავში მეც გამოვთქვი აზრი, რომ ის ივანიშვილის პროექტია, იქიდან გამომდინარე, რაც წასვლის წინ მან თქვა, მაგრამ შემდეგ ისეთი მძაფრი ბრძოლა გაიმართა „ოცნებასა“ და გახარიას შორის, ამ ბრძოლაში კი ივანიშვილი თავისი განცხადებით ჩაერთო „ოცნების“ მხარეს, ამ ფონზე ივანიშვილს გახარიას სცენარი არ დაუწერია და გახარია მართლაც თვითონ მოქმედებს.

— გიორგი გახარიას ასევე უწოდებენ „რუსულ პროექტს...“

— ვისაც ეს იარლიყი აქვს გახარიასთვის, იმათ დავაკვირდეთ, ეს „ნაციონალების“ იარლიყია. ისინი ამბობენ, რომ ივანიშვილია რუსული პროექტი, ამ შემთხვევაში გახარია რაღა საჭიროა? — ვინც ამოტივტივდება, ყველას მიაკრავენ, რომ „რუსული პროექტია.“

— უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში „ქართული ოცნებისა“ და დასავლეთის ურთიერთობა გარკვეულწილად გაფუჭდა. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის ფონზე, დასავლეთმა გახარიას ფიგურა წამოწია წინ? - აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი აშშ-ში იყო...

— დასავლეთი ოდითგანვე ოპოზიციას ეძებს, მათ სურთ მჭიდრო ურთიერთობა იმ ძალებთან, რომლებიც, შესაძლოა, მოვიდეს ხელისუფლებაში: — მხოლოდ ხელისუფლებასთან კი არ გვაქვს ურთიერთობა, იმ პოლიტიკურ ზედა ფენასთანაც, ეს შეიძლება იყოს ხელისუფლება, ოპოზიცია, რომლებმაც შესაძლოა ჩაანაცვლონ ერთმანეთი, — სტრატეგიულად გამართული სურათია დასავლეთის მხრიდან. ნუ გაგვიკვირდება, რომ მის ყურადღების ცენტრში გახარიაც მოექცევა. ეს არ არის უნიკალური მოვლენა, მხოლოდ გახარიას მიმართ გაჩენილი. ეს არის დასავლეთის ზოგადი სტრატეგია, რომელშიც უკვე გახარიაც ფიგურირებს. უნდა ითქვას ისიც, რომ გახარიას კარგი შეხვედრები ჰქონდა და კარგი რეაქციები დასავლეთის იმ ფიგურებთან, ვისთანაც შეხვედრა მოახერხა.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

ბილეთზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და ამტკიცებს, რომ საქართველოში 2 ოქტომბერს თბილისი-კიევის რეისით სალამოს 23:30 წუთზე ჩამოფრინდება, ჯავშანი აღარ იძებნება. შესაძლოა, სააკაშვილმა ქვეყანაში ჩამოსვლა უკვე მე-18-ჯერ გადაიფიქრა ან ეს იყო ამომრჩევლის მობილიზების მიზნით ჩატარებული წინასაარჩევნო ფანდი. თუმცა, FOR.GE-სთვის ცნობილი ხდება, რომ სააკაშვილმა შესაძლოა, ჩამოსვლის დრო და მარშრუტი შეცვალოს. მისი ქვეყანაში შემოსვლის სხვადასხვა ვერსიებზე მუშაობა ხდება და ბილეთის გამოჩენა სიმულაცია იყო, რომელიც სააკაშვილის სხვა გზით ჩამოსვლის შენიღბვას ემსახურება.

ერთი ვერსიით ის შესაძლოა ქვეყანას მხარდამჭერებთან ერთად სარფიდან მოადგეს. მეორე ვერსიით კი — ზღვით, ბათუმში შემოვიდეს. ან ეგზიტპოლების წინასწარი შედეგების გაცნობის შემთხვევაში, რომლის საშუალებაც მას თვითმფრინავში ჩაჯდომამდე ექნება, წაგების შემთხვევაში წამოსვლა ისევ გადაიფიქროს. „ნაციონალურ მოძრაობას“ კი თავის მხრივ ელექტორატის მობილიზება აქვს დავალებული, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. მას აქვს იმედი, რომ ქვეყანაში ჩამოსვლამდე არეულობა დაიწყება და მის დაკავებას ხელისუფლება ვერ გაბედავს. „ქართული ოცნება“ კი სააკაშვილს ამშვიდებს და ჰპირდება, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე დააკავებენ, იმის მიუხედავად, საიდან და რა ფორმით შემოვა; უკრაინის სცენარის გათამაშება არ გამოუვა და მისი აყვანაც ისე უსაფრთხოდ მოხდება, როგორც ეს ნიკა მელიას შემთხვევაში იყო.

* * *

მიხეილ სააკაშვილის კიევი-თბილისის ავიაბილეთი, როგორც გვარწმუნებდა, ორ პერსონაზეა დაჯავშნილი და იგი საქართველოში დედასთან, გიული ალასანიასთან ერთად გეგმავს დაბრუნებას. სააკაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთს გვერდით დაუდგებიან და გადადებენ განსხვავებებს.

„ჩვენ უნდა წავიდეთ სრულ გამარჯვებამდე. შეხვედრამდე, თბილისში“, — დაგვემშვიდობა სააკაშვილი.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** სააკაშვილის მიერ კიევი-თბილისის ბილეთის გამოქვეყნებას „ფეისბუქში“ ეხმაურება: **„კლოუნმა სააკაშვილმა ჯავშნის კოდი (PDZ897) რომ გამოაქვეყნა, იმდენიც კი არ იცის, რომ სისტემაში იძებნება ადვილად. ჯერ 31 დეკემბერს გადაიტანა ფრენა, ახლა კი, საერთოდ არ იძებნება სისტემაში. აღარ ჩამოდის“?**

ხელისუფლება პირობას დებს, რომ სააკაშვილის რეჟიმი საქართველოში ვერასდროს დაბრუნდება: **„აღარ დაბრუნდება ის ბნელი დრო, როცა ასეთი მჩაგვრელი, მასხარა მართავდა ქვეყანას, სააკაშვილის სახით“,** — დაგვამშვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9-წლიანი კოშმარიც შეგვახსენა: **„საქართველოს თითოეულ კუთხეში იყო ტერორი და განუკითხაობა... რა თქმა უნდა, ყოველთვის შევახსენებთ — ყოველთვის, ყოველდღე, მათივე სიტყვებით რომ ვთქვა, სულს ამოვხდით ამ შეხსენებებით... ამ ადამიანებს კიდევ რომ უჩნდებათ პრეტენზია ხელისუფლებაში დაბრუნების, ეს არის კიდევ უფრო დიდი დანაშაული და კრიმინალი და შემდეგ უკვირთ, როდესაც ჩვენ მათ ამ დანაშაულს ვახსენებთ... თუ ჩამოსვლა უნდა, ჩამოვიდეს. გვაქვს ჰალსტუხების საკმაოდ დიდი კოლექცია, რომ დავახვედროთ და კომფორტულად ვამყოფოთ ციხეში“.**

ანალიტიკოსი **ლევან ნიკოლეიშვილი** სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, აეროპორტშივე დააკავებას უწინასწარმეტყველებს.



„არანაირი ექსესი და დაპირისპირება არ მოხდება. ზუსტად ასე ამბობდნენ ნიკა მელიას დაკავების დროსაც, მაგრამ თმა არავის არსაიდან ჩამოვარდნია. ჩამოვა და მხარდამჭერებთან თუ მოწინააღმდეგეებთან ერთად, სათანადო ორგანოს წარმომადგენლებიც დახვდებიან და ციხეში გადაიყვანენ. რაღაცა პატარ-პატარა გამოსვლები იქნება, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი არა, რომ ამან ქვეყანაში არეულობა გამოიწვიოს. რაც შეეხება ბილეთის ამბავს და იმ ვერსიებს, რომელიც მისი ჩამოსვლის მარშრუტს შეეხება, ვფიქრობ, გამორიცხული არაფერია. მან ეს შესაძლოა რამდენიმე მიზეზით გააკეთა — ერთ ვარიანტში ის ისევ საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობს და მეტი დამაჯერებლობისთვის ბილეთი დადო. მეორე ვერსიით, მან დრო და მარშრუტი უბრალოდ შეცვალა. მესამე ვერსიით კი შესაძლოა, რამდენიმე მხარდამჭერთან ერთად, სარფიდან შემოვიდეს. თუმცა რას იზამენ? სარფის საბაჟოს შტურმით აიღებენ? მას იქვე დააკავებენ და უსაფრთხოდ ციხეში გადაიყვანენ“, — ამბობს ლევან ნიკოლეიშვილი.

რაც შეეხება იმ ფაქტს შესაძლოა თუ არა სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს და ნიკა მელიას მსგავსად ელის, რომ მისი შეწყალება მოხდება, ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ მსგავსი ზეწოლა თუკი ხელისუფლებაზე განხორციელდა, ეს ჩვენი პარტნიორებისგან უდიდესი შეცდომა იქნება. მისი თქმით,

„ბარბაროსა“ და ჩემი ოჯახის კეთილი ანგელოზი

„განვითარებული სოციალიზმის“ პერიოდში სკოლის არდადეგებს წინ ორი კვირით ადრე ბორჯომის რაიონის სოფელში მდებარე პიონერთა ბანაკს ვეწვიე სპორტული ინვენტარისა და ატრიბუტიკის წესრიგში მოსაყვანად, რადგან სწორედ აქ უნდა მემუშავა ფიზკულტურის მასწავლებლად.

უნდა ითქვას, საქმე ბევრი არ იყო, უბრალოდ ფეხბურთის კარების დაყენებამ გამაწვალა ძალიან, მაგრამ ბოლოს ისიც დადებითად გადავწყვიტე და როცა ნამუშევარს შევხედე, სიამაყე დამეუფლა, მივხვდი ათწლეულების საქმე რომ შევასრულე. მაგრამ რად გინდა, პირველსავე დღეს ჩემი ილუზიები ჯერარნახული კარების შესახებ, ჩვენს გვერდით ჩამდინარე ნეძურის წყალს გაჰყვა საქართველოს დედა მდინარე მტკვართან გასალაღებლად.: ჯანდაბას, ილუზიებს ოდნავადაც არ ვუჩივი, მე უფრო ფეხბურთის კარი მადარდებს, რომელმაც ორიოდე დარტყმასაც ვერ გაუძლო, ისე იქცა მტვრად და ნაფოტებად. ამის მიზეზი შეიქმნა ერთი ცხვირმოუხოცავი, სამტრედიელი ბიჭი, რომლის ყუმბარისებრმა დარტყმებმაც შეიწირა ჩემი ნალოლიავები ფეხბურთის კარები. ამ ბიჭს კახა ჰქვია, მაგრამ გუნებაში „ბარბაროსა“ შევარქვი საშინელი დარტყმებისთვის. როცა ის თამაშში მონაწილეობდა, მე მოედანზე ფრთხილად დავდიოდი, რადგანაც არ მინდოდა ჩემი ნაბიჯებით კარების ბედი გამეზიარებინა. სწორედ „ბარბაროსა“ შეიქმნა ჩემი დამხმარე მთელი ბანაკის სპორტულ ცხოვრებაში. ლაშქრობები იყო თუ ექსკურსიები... იმას აღარ ვამბობ, მოძრავ თამაშებში ის როგორც წესი, წამყვანი ფიგურა გახლდათ. იმ წელს რაც „ბარბაროსა“ ჩვენ ბანაკში ირიცხებოდა, იმდენი სიგელი და მედალი მოვიპოვეთ, რამდენიც არასოდეს გვღირსებია.

დამთავრდა ნაკადი, ბავშვებმა შინ დაბრუნება იწყეს. კახას და მის ძმასაც ჩამოაკითხა მშობელმა. მთელი ბანაკის სახელით დიდი მადლობა გადავუხადე მას სანიმუშო შვილების აღზრდისთვის. ყველანი ისხდნენ მანქანაში, მძღოლმაც დაიკავა ადგილი საჭესთან, მაგრამ მანქანა არადა არ იძვროდა. ბოლოს ბატონი კარლო მანქანიდან გადმოვიდა და მოგვახსენა, შვილების ტანსაცმელს აღარ ჩივის, ჩანთებსაც ვერ მივაგენიო. მე დამცეცხლა, ვაითუ მოიპარეს, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობიდან ისევ ჩემმა ძვირფასმა „ბარბაროსამ“ გამომიყვანა. ჩანნ ბანაკში ჩვეულებრივი ბავშვების გარდა უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებიც ისვენებდნენ და დარწმუნდენ რა მათი ჩაცმულობის სიმწირეში, ძმებმა უანგაროდ ყველაფერი მათ დაურიგეს. თურმე, კარგ სპორტსმენებთან ერთად კალაძეების ოჯახში შესანიშნავი ადამიანებიც იზრდებოდნენ.

მოისმინა რა ეს გულის ამაჩუყებელი ამბავი, მამამ გულში ჩაიკრა შვილები, მაგრად ჩაკოცნა და გახარებულმა მანქანა დაძრა. ვიფიქრე, ალბათ, აღარასოდეს შევხვდებოდი ჩემს „ბარბაროსას“, მაგრამ უფალმა სულ სხვაგვარად გადაწყვიტა...

* * *

გავიდა წლები. ერთ არდადეგებზე სურამში მდებარე პიონერთა ბანაკში მომიწია საქმიანობა, მშვიდობით მივიყვანეთ ოთხი ნაკადი ბოლომდე და სახლისკენ დავიძარით. თბილისისკენ მიმავალი ავტობუსი რატომღაც თავიდანვე არ მომივიდა თვალში. წარმოიდგინეთ, კარგა ხნის წინათ ჯართად ქცეული, რის ვაივაგლახით ჯერ კიდევ ახერხებდა გადაადგილებას. სალონში საწვავის მძიმე სუნი იდგა. შვილები სულ უკანა სავარძელში მოხერხებულად დავსვი, ხოლო მე წინ, მძღოლთან ახლოს თავისუფალ სკამზე მოვეწყე. ჯერ კიდევ დილა იყო და ჩავთვლიმე.

მგონი, აგარას ვიყავით გამოცილებული, მანქანაში რომ ერთი ვაიუშველებელი ატყდა. ფეხზე წამოვვარდი, კვამლში ვერაფერი გავარჩიე. ხალხის ტალღამ სალონიდან გარეთ გამომისროლა. შვილები ვერსად აღმოვაჩინე, ავტობუსში ცეცხლი ჯერ მხოლოდ ხრჩოლავდა და ძალას იკრებდა. გაგიჟებული მივარდი მანქანას, შევეცადე თავით შემენგრია ჩაკეტილი კარები და შიგ შემეღწია, მაგრამ კაცები ჩამეჭიდნენ და იქვე მიწაზე დამაგდეს, შვილების საშინელი აღსასრულის მოწმე ვხდებოდი!.. სწორედ ამ დროს მოვარდა თეთრი ფერის „ჟიგული“, საიდანაც სამი ახალგაზრდა გადმოხტა. ერთ-ერთ მათგანს წამიც არ დაუკარგავს უქმად,: მანქანის საბარგულიდან გადმოიღო რაღაც საბანივით სქელი ნაჭერი, წყლით გაუღინთა, ტანზე შემოიკრა, ავტობუსის გაჭედილი კარი ერთი დარტყმით შეანგრია და შიგ შეიჭრა. მეტი აღარაფერი დამინახავს, რადგან გონება დავკარგე.

ისიც აღარ მახსოვს როგორ მოვედი გონს, მაგრამ თვალის გახელა არც მინდოდა სამი მერცხალივით ბიჭის დამკარგავს... მერე სმენას ნაცნობი ხმა მოსწვდა და გიჟივით წამოვვარდი ფეხზე. თვალებს არ ვუჯერებდი, შვილები ჩემ წინ იდგნენ და ჩუმად ტიროდნენ. ვიფიქრე, სიზმარში ვარ-მეთქი, მაგრამ ცეცხლისგან გავარვარებულ ავტობუსს შევახე ხელი და წამში გამოვფხიზლდი, ეიფორიამ მალე გადამიარა და ჩემი ოჯახის კეთილ ანგელოზს დავუწყე ძებნა, ტყუილად გავისარჯე, ისევ დამწვარი მანქანის მძღოლი დამეხმარა და მითხრა, იმ ახალგაზრდამ ბავშვები სამშვიდობოს გამოიყვანა თუ არა, აღარ დაუცდია და მეგობრებთან ერთად გზას გაუდგაო. იქვე დაამატა, ის ბიჭი სამტრედიელი ფეხბურთელი კალაძე ყოფილა, რომელიც ამ დღეებში თბილისის „დინამოში“ გადმოუყვანიათ სათამაშოდ...

ამ ამბის გახსენებაზე ყოველთვის ცრემლები მომდის, ვლოცავ იმ ოჯახს, ვინც ის ახალგაზრდა გზაზე დააყენა. ვაცხადებ და ჩემს ჭაღარას ვფიცავ, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, ეს ბიჭი გახდა სახელოვანი ფეხბურთელი, შემდეგში გონიერი და წარმატებული ბიზნესმენი და მომავალში თბილისის აღმშენებელი ქალაქის მერი კახა კალაძე.

ჯემალ ნოზაძე
(ტ. 2 37 46 45)

სააკაშვილს ევროპარლამენტარებმა პირიქითი ურჩიეს, რომ საქართველოში არ ჩამოვიდეს და პროვოკაციების მოწყობისგან თავი შეიკავოს. რაც შეეხება ჩამოსვლის დროს – 2 ოქტომბერი, 23:30 წუთი, – ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს განზრახაა გაკეთებული, რადგანაც მას ჩამოსვლა ბოლომდე გადაწყვეტილი არ აქვს და სავარაუდოდ, წინასწარი ეგზიტპოლების შედეგების გაცნობის შემდეგ გადაწყვეტს, ჩავჯდეს თუ არა თვითმფრინავში.

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** კი ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილს პარტიაშიც გარკვეული დაპირისპირება აქვს, რადგანაც ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთმანეთს უფრო ესაუბრებიან. სალუქვაძე ამბობს, რომ ნიკა მელიას ნათქვამი, ის სააკაშვილის ადგილას უკვე საქართველოში იქნებოდა, შემთხვევითი არაა. ამიტომ სააკაშვილს მრავალმხრივი პრობლემები აქვს.

„მელია სააკაშვილს ჩამოსვლისკენ მოუწოდებს, სააკაშვილი კი ხელის გატოკებისკენ. არ ვიცი, აქ რისი იმედი აქვთ, სააკაშვილს დერეფნის და წითელი ხალიჩების მოწყობა უნდა, მაგრამ რეალობა ის იქნება, რომ მას ჩვენი სამართალდამცველები დააკავებენ და ციხეში გადაიყვანენ. ამას ხელისუფლება ისევე უპრობლემოდ შეძლებს, როგორც ეს ნიკა მელიას შემთხვევაში მოხდა. მაშინაც იყო საუბარი 200-მდე კუნთმაგარი ბიჭები არიან ოფისში გამაგრებულები და მის დაკავებას არავის დაანებებდნენ, თუმცა მელია ბუმბულივით აიყვანეს და წაიყვანეს. ასე იქნება სააკაშვილის შემთხვევაშიც. რაც შეეხება ჩამოსვლის მარშრუტის ცვლილებას, შესაძლოა, უკრაინის ვარიანტი გაითამაშოს, მაგრამ ეს არ გამოუვა. კარგი, ვთქვათ, რამდენიმე ათას მხარდამჭერს თავი მოუყარეს, მერე რა ხდება? მართლმსაჯულების აღსრულებას წინ არაფერი აღუდგება. ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში, საიდანაც არ უნდა ჩამოვიდეს, მისი დაკავება მოუწევს“, – ამბობს სალუქვაძე.

მისივე თქმით, სააკაშვილი თუ საზღვარს თურქეთიდან მოადგება და სარფის საბაჟოდან ქვეყანაში შემოსვლის გადაწყვეტილებას მიიღებს, ამას ვერ შეძლებს – ეს პოროშენკოს უკრაინა და საზღვარი არ არის. თურქეთის და საქართველოს მხარესაც საბაჟოს თანამშრომლებს ზომების მიღება მოუწევთ. სააკაშვილს იგივე სცენარის გათამაშება აღარ გამოუვა.

„საუბარი იმაზე თითქოს პოლიტიკურად ხელისუფლებას სააკაშვილის დაბრუნება აწყობს, ლოგიკას მოკლებულია. არჩევნების დღეს, არც ერთ ხელისუფალს მსგავსი პროვოკაცია არ უნდა. არეულობა ვისაც უნდა, ისინი ამას არც მალავენ. არჩევნებს არ ატარებენ და გამოცხადებული აქვთ უკვე, რომ არჩევნები გაყალბდება. ნებისმიერი შედეგი, რომელიც მათთვის სასარგებლო და მისაღები არ იქნება, ისინი არ აღიარებენ. როცა ლევან თარხნიშვილის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით „ოცნებას“ 35% აქვს, ეს ხომ ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. იმას ვერც კი მალავენ, რომ მმართველ გუნდს მყარი პირველი ადგილი უკავია.

თუ სააკაშვილს იმის სურვილი აქვს, გამოსცადოს დააკავებენ თუ არა, ნახოს, აბა! უბრალოდ, ციხეში ყოფნას რამდენად შეძლებს და რამდენად არის ამისთვის მზად, ეს კიდევ საკითხავია. რაც შეეხება დასავლეთის მხრიდან ზეწოლის მოლოდინს, რომ მელიას მსგავსად გაათავისუფლონ, მცდარი მოლოდინია. ახლა ის დრო და სიტუაცია აღარ არის. მელიას საქმე ჯერ კიდევ სასამართლოშია. მეორეც, სააკაშვილს ბრალი 4 საქმეზე აქვს წაყენებული, ამიტომ, მის ამნისტიას არც ერთი პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს. ერთი ვარიანტია, რომ უკრაინამ, როგორც მისი მოქალაქის ექსტრადირება მოითხოვოს, რაც დროში გაიწელება. ან ზელენსკის ეს რამდენად აწყობს მეორე საკითხია“, – ამბობს სალუქვაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ოპოზიციის დაპირებაა ქაოსი, არეულობა, დესტაბილიზაცია

ჩვენი საარჩევნო კამპანია არის დაპირებებზე პროაქტიური, იმაზე თუ რა უნდა გაკეთდეს, რა საჭიროებებია საზოგადოებაში, ოპოზიციის საარჩევნო კამპანია არის ქაოსის დაპირება, – ამის შესახებ მამუკა მდინარაძემ ბრიფინგზე განაცხადა. ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერის თქმით, მიმდინარე კამპანია სპეციფიკურია.

„ეს არის ერთ-ერთი სპეციფიკური არჩევნები ერთი თვალსაზრისით - ოპოზიცია საარჩევნო კამპანიას საერთოდ არ აწარმოებს. ოპოზიცია აწარმოებს პროვოკაციულ კამპანიას და მათი ტელევიზიები ავრცელებენ „ფეიკებს“ უპრეცედენტო მასშტაბით. ეს არის მათი კამპანია. თუ გახსენდებათ რადიკალური ოპოზიციიდან რომელიმე პარტიის ერთი საარჩევნო დაპირება, რომელიც არჩევნებს შეეხება? იმიტომ არ გახსენდებათ, რომ ასეთი საარჩევნო დაპირება არ ყოფილა. მათი დაპირებაა ქაოსი, არეულობა. აქედან გამომდინარე, ამომრჩეველი მარტივად გააკეთებს თავის არჩევანს ქაოსსა და გასაკეთებელ საქმეებს შორის“, – განაცხადა მდინარაძემ.

მისი განცხადებით, წინასაარჩევნო კამპანია უპრეცედენტოდ მშვიდ გარემოში წარიმართა და არ დადასტურებულა რაიმე არსებითი დარღვევა, რომელსაც არჩევნების შედეგებზე თუნდაც უმნიშვნელო გავლენა შეიძლებოდა, მოეხდინა.

„გასული დღეების განმავლობაში განხორციელებული არაერთი პროვოკაციის მიუხედავად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ შეძლო საარჩევნო გარემოს ხელოვნურად გაუარესება. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პარტიის იმ წევრებსა და მხარდამჭერებს, რომლებმაც პროვოკაციებსა და შეურაცხყოფას მშვიდი რეაგირებით უპასუხეს“, – განაცხადა მდინარაძემ.

მდინარაძის განმარტებით, **„განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კენჭისყრის დღე, როდესაც რადიკალური ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციები და დესტრუქციული ქმედებები ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი“.**

აქვე შეგახსენებთ, რომ საჩივრების ელექტრონული პლატფორმის შემოღებასთან ერთად, საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანა არსებითად გამარტივდა; ცალკეულ უბნებზე იგეგმება საარჩევნო ინვენტარისა და დოკუმენტაციის (საარჩევნო სიების, ბეჭდების და ა.შ.) მოპარვა; ისევე, როგორც ყველა წინა არჩევნებზე, ამ შემთხვევაშიც, ხელმოწერების მანიპულირებისა და საარჩევნო ბიულეტენების უბნიდან გამოტანის გზით, გეგმავენ დისბალანსების ხელოვნურად გამოწვევას; იგეგმება საარჩევნო უბნებზე ხელოვნური რიგების შექმნა ამომრჩევლის აქტივობის შესამცირებლად. ასევე, რადიკალური ოპოზიციის მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს მასობრივად აძლევენ დავალებას, ხელი არ მოაწერონ საარჩევნო უბნების ოქმებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ უბანზე არც ერთი საარჩევნო დარღვევა არ დაფიქსირდება. ყველას შევახსენებთ, რომ საარჩევნო უბნის ხელოვნურად ჩაშლა არის სისხლის სამართლის დანაშაული და ამგვარი ქმედებებისთვის ყველა უმკაცრესად აგებს პასუხს“, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ. მამუკა მდინარაძის თქმით, არჩევნების დღის მთავარ გამოწვევად რჩება პროვოკაციები, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერაა.

ENKA Renewables-ი საქართველოს სახელმწიფოთან არსებულ ხელშეკრულებას წყვეტს — $800 მილიონიანი ჰიდროელექტროსადგური აღარ აშენდება, — ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. ENKA INSAAT-ის მიერ სტამბოლის საფონდო ბირჟაზე გამოქვეყნდა განცხადება: „ENKA Renewables-ი, რომელშიც ENKA INSAAT-ი 90%-იან წილს ფლობს, საქართველოს სახელმწიფოს აცნობს, რომ მოხდეს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა-ფლობა-ოპერირების თაობაზე, 2019 წლის 25 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება, რის მიზეზსაც კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და ფორს-მაჟორი წარმოადგენს“.

სამწუხაროდ, ჩვენივე სამშობლოში იმ ტერიტორიაზე, რომელიც დარჩა კომპანიას, ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილების საშუალებაც კი არ ექნება. ამ მიწებზე კომპანიას საკუთარი მოსახლეობის დასახლება შეუძლია, გარდა იმისა, რომ ბუნებრივი სიმდიდრე გავა ქვეყნიდან. ტყის მასივის მათი შეხედულებისამებრ გამოყენება შეუძლიათ. ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო კომპანიის მიერ მოჭრილი ხის დასაწყოებაზეც იღებდა ვალდებულებას!!! წყლის უკმარისობის პერიოდში, სახელმწიფო იღებდა ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას!!!.

თემურ ჭიჭინაძე: ნამახვანჰესი საქართველოს არც ენერგოდამოუკიდებლობას და არც დაბალ ტარიფს არ მოუტანდა

ეს მოხდა 22 სექტემბერს, რამდენიმე თვით ადრე, 9 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისში ყოფნისას, მედიასთან საუბრისას განაცხადა:

„მემკვიდრეობით დამხვდა ეს პროექტი, ეს პრობლემა და მე ამაზე აქტიურად ვმუშაობ. იმ პირობებით, რა პირობებითაც ეს პროექტი ახლა არის და ის პირობები, რომელიც ჩვენ დაგვხვდა, მე შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი პირობებით ჩვენ არ გავაგრძელებთ პროექტს. ჩვენ ინვესტორებს ველაპარაკებით და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ინვესტორს დავითანხმებთ, ჩვენი ქვეყნის სასიკეთო ინტერესებზე რომ წამოვიყვანოთ და კიდევ უფრო უკეთესი პირობებით ავაშენოთ ეს პროექტი, რომელიც იქნება საუკეთესო ინტერესების გამტარებელი ჩვენი მოსახლეობის, მათ შორის, „ნამახვანჰესის“ მოწინააღმდეგეებისთვის“.

ENKA Renewables-ის გადაწყვეტილებამ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ჰესის მშენებლობას აპროტესტებდა, აღაფრთოვანა, მეორე ნაწილი კი ენერგოდამოუკიდებლობის საფრთხეებზე და ქვეყნის მოსალოდნელ ჩაბნელებაზე ალაპარაკდა.

— „ჰესები უნდა აშენდეს, მაგრამ არა ისეთი კაბალური ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც სახელმწიფოს ENKA Renewables-თან ჰქონდა გაფორმებული“, — „პროგრესიუსთან“ საუბრისას აცხადებს ენერგეტიკოსი, ენერგეტიკის აკადემიის წევრი **თემურ ჭიჭინაძე**.

— არ ვიცი რამ გამოიწვია ENKA Renewables-ის ნაუცბათევი გადაწყვეტილება, მაგრამ ის, რომ ნამოხვანჰესი არ აშენდება, მისასალმებელია. ეს დიდი ხნის წინ უნდა გაკეთებულიყო. ამ კომპანიის საქართველოში შემოსვლაც დაუშვებელი იყო და მათთან ასეთი ტიპის ხელშეკრულების გაფორმება, მითუმეტეს.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ 2018 წელს, თებერვლის თვეში მსოფლიო ბანკმა დადო ოფიციალური დასკვნა, სადაც საუბარია როგორც ფისკალურ დანახარჯებზე, ასევე ტარიფებზეც. მოგვიანებით, ქართულმა მხარემ დასკვნა სამუშაო დოკუმენტად გამოაცხადა, თუმცა ყველამ და მათ შორის, მთავრობამ შესანიშნავად იცოდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ სამუშაო დოკუმენტი. აქ იყო საუბარი ტარიფების ზრდაზე, რაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის ძალზედ მტკივნეული თემაა. მეტიც, მსოფლიო ბანკმა საქართველოს ხელისუფლებას მოუმზადა ჰიდროელექტროსადგურების განვითარების გეგმა, რაც მცირე და საშუალო ჰესების განვითარებას გულისხმობს. ეს არის დაბალდანახარჯიანი პროექტი და შესაბამისად, აუცილებლად განსახორციელებელი.

— ნამახვანჰესი არაა ისეთი სიმძლავრის, როგორც ენგურჰესი.

— დიახ, ასეა, მაგრამ აქ არის სხვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები. მოდით, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დეტალი განვიხილოთ:

ENKA Renewables-ს 121 ლარად საკუთრებაში გადაეცა 1 409 391 კმ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქონება და 1 535 975 კვ.მ. ფართობის ტყე წყალტუბოს, ტყიბულის და ცაგერის მუნიციპალიტეტში. აღნაგობის უფლებით კი 99 წლის ვადით წლიურ 16 ლარად გადაეცა 2 372 409 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო ქონება და 445 245 კვ.მ. ტყე.

ამის გარდა, გასხვისდა რიონის კალაპოტის გარკვეული ნაწილი, ასევე წიაღისეული, რომელიც ამ ტერიტორიაზეა. ამ ხელშეკრულებით სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, რომ 15 წლის განმავლობაში გარანტირებულად შეისყიდდა 6.2 ცენტად ელექტრო ენერგიას. რომელიც, ყოველწლიურად 3%-ით გაიზრდებოდა და მოსახლეობას სერიოზულად დააწვებოდა. ხელშეკრულებაში ბურუსით მოცული ჩანაწერია: ხელისუფლება ვალდებულია ENKA Renewables-ს 1 ლარად გადასცეს „სხვა საჭირო მიწის ნაკვეთები“, საჭიროებას თავად კომპანია ადგენს. მითითებულია „საჭირო მიწის ნაკვეთების“ არეალი — რიონის ხეობა, რაჭა-ლეჩხუმი და იმერეთი... ყველა შესაძლო ბიზნესრისკი, კომპანიის სასარგებლოდ სახელმწიფო ბიუჯეტითაა დაზღვეული. კომპანიას შეეძლო რიონის გარდა მისი შენაკადები, ცხენისწყალიც კი გამოეყენებინა, თუ რამ წიაღისეულია ამ ტერიტორიაზე, ლიცენზიის გარეშე შეეძლო მოეპოვებინა და 15 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული არ იყო ენერგია საქართველოში გაეყიდა. სრულიად ლეგიტიმური კითხვა მაქვს, ვისთვის შენდებოდა ნამახვანჰესი? ზიანი ჩვენ უნდა აგვენაზღაურებინა, ჩვენი წიაღისეული ლიცენზიის გარეშე შეუზღუდავად უნდა აეთვისებინათ და კიდევ ბევრი სხვა... რა მოგება რჩებოდა საქართველოს, ამიხსნის ვინმე?

— ენერგოდამოუკიდებლობის მომენტიცაა აქ.

— ამ პირობებით, რაზედაც ვისაუბრეთ? დიახ, ამბობენ, რომ საქართველო დამოკიდებული იქნება სხვა ქვეყანაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გამორთავს „рубильник“-ს.

პირველი: ხელისუფლების დაქირავებული ექსპერტები გვარწმუნებენ, რომ ჰესების აშენება სასიცოცხლოდ ესაჭიროება ქვეყანას, რაც ენერგოდეფიციტს აღმოფხვრის. როგორია რეალობა: 2013 წლიდან მრავალი ჰესი აშენდა, ბოლო 5 წლის განმავლობაში ახალაშენებული ჰესების წლიური გამომუშავება მილიარდი კილოვატით გაიზარდა და ძველი ჰესების გამომუშავებაც ამდენივეთი შემცირდა. ესე იგი, მიუხედავად მშენებლობისა, ძველი და ახალი ჰესების ჯამური გამომუშავება გაზრდის ნაცვლად, ერთ ადგილს ტკეპნის. ისმის ბუნებრივი კითხვა — რატომ? მითუმეტეს, რომ ახალი ჰესების მშენებლობა ბანკის სესხებით ხდება.

სადავო არაა, ჰესი ზამთრის პერიოდში 2-5- ჯერ ნაკლებ ენერგიას გამოიმუშავებს, ვიდრე ზაფხულში. სამაგიეროდ ზაფხულში გვაქვს ენერგიის სიჭარბე. რატომ მოვიყვანე ეს მაგალითი: არ ვიცი ვინ გადაწყვიტა ხელისუფლებაში, მაგრამ ფაქტია — ძველ ჰესებს, რომელთა გამომუშავებულ ენერგიას დაბალი თვითღირებულება აქვს, ან აჩერებენ, ან ნაკლები დატვირთვით ამუშავებენ, რის გამოც მათი წლიური გამომუშავება მცირდება, ახალი ჰესების „ინვესტორები“ კი ძვირადღირებულ ენერგიას ყიდიან, ამით ისინი „ჩადებულ“ „ინვესტიციებს“ იბრუნებენ და მოგებაზე გადიან. როცა კითხულობენ, ლარი რატომ უფასურდება, ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენს მიერ გადახდილი გადასახადები, რომელიც რეალურ ფასთან შედარებით დიდია, „ინვესტორებს“ ქვეყნიდან გააქვთ.

მეორე: როცა ვსაუბრობთ ენერგოდამოუკიდებლობაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს არა აქვს თავისი არც ნავთობი, არც გაზი! ამიტომ კვირაში ერთხელ



ძალიან აქტიური გახდა ტერმინი ენერგოდამოუკიდებლობა. ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიქნებით ჩვენ ენერგოდამოუკიდებლები: არა გვაქვს გაზი, ნავთობი, მარტო ჰესებით იქნები დამოუკიდებელი? ქვეყნის უსაფრთხოებაა მთავარი საზრუნავი, კიდევ გავიმეორებ — რასაც ამ პროექტით გვთავაზობდნენ, ქვეყნისთვის არც ენერგოდამოუკიდებლობის და არც სხვა შეღავათების მომტანი არ იყო.

რომ აშენდეს ქვეყანაში ჰესი, ენერგოდამოუკიდებლები მაინც ვერ გავხდებით.

მესამე: 90-იანი წლებიდან დღემდე ენგურჰესის გამომუშავებული ენერგია გადის აფხაზეთში. 90-იან წლებში შედგა სიტყვიერი შეთანხმება, რომელიც ეხებოდა ენგურჰესის და ვარდნილჰესის ენერგიის გადანაწილებას 60%-40%-ზე. რეალურად კი 2015 წლიდან პროპორცია სულ იცვლებოდა. არა ჩვენს სასარგებლოდ; 2019-ში 51%. 2020 წელს 1456 მილიონი კვტ. ენერგია იქნა შემოტანილი მეზობელი ქვეყნებიდან, საიდანაც 1222 მლნ.კვტ. აფხაზეთს მივაწოდეთ, საქართველოს სახელმწიფომ გადაიხადა 60 მილიონი დოლარი და აფხაზეთის არაღიარებულ ხელისუფლებას აჩუქა.

— საპროტესტო აქციების შესახებ ყველამ ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ არსებობს ხელშეკრულება, რომლის დარღვევამაც საქართველო სულ ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. სხვა საკითხია ჯარიმა...

— როგორც ვთქვი, ეს იყო ზედმეტად გაუმართლებელი ხელშეკრულება, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ადგილობრივების დასაქმებასაც კი არ ითვალისწინებდა. ეს ხდება იმ დროს, როცა ზემოთ ჩამოთვლილი სხვა პირობებისა, ფორს-მაჟორული გარემოებისას ყველა ზიანისა და დანაკარგის ანაზღაურებას სახელმწიფო იღებს თავზე, რაშიც შედის ნებისმიერი განცხადება, რომელიც მშენებლობის საწინააღმდეგოა, მათ შორის, აქციებიც, რაც თავის მხრივ მშენებლობას შეაფერხებს. დღეს ფაქტია ის, რომ მდინარე რიონის 32-კილომეტრიანი სივრცე 99 წლით კომპანიის საკუთრებად ითვლება. ახლა რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტის გამო მიღებულ ზიანს. საუბარია 400 მილიონ დოლარზე, რასაც ემატება მიწის ის ნაკვეთები, რომელიც კომპანიამ მოსახლეობისგან შეიძინა, ასევე ის მიწები, რომელიც სახელმწიფომ გადასცა და ამ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოსაპოვებლად კომპანიას ლიცენზია არ სჭირდება. დავანებოთ თავი ეკოლოგიას, ეკოლოგიურად სუფთა არც გზის გაყვანა და ასფალტის დაგებაა, მაგრამ ის, კონკრეტული ხელშეკრულება, ჩემი პირადი აზრით, არის სახელმწიფოს ღალატის ტოლფასი.

— ესე იგი, გამოდის, რომ მშენებლები არ გვყოლია და მუშახელის ნაკლებობასაც განვიცდით.

— ენგურჰესი მსოფლიოში დღემდე ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობად ითვლება — ის ქართველების აშენებულია. ზაჰესი, ჟინვალჰესი, რიონჰესი ვისი აშენებულია? ქართველების, ხომ! რამდენი ჰიდროსადგური აქვთ აშენებული ქართველ სპეციალისტებს მსოფლიოში?! ახსოვს ვინმეს? არცერთი ქართული კომპანია არ ოპერირებს ენერგეტიკაში! რატომ? ის კი არა, ვინც იყო ისინიც გააძევეს ბაზრიდან! სესხით განხორციელებული ინვესტიცია, რომელზეც სახელმწიფოა პასუხისმგებელი, ყოვლად მიუღებელია. არავითარი შეღავათი, არავითარი ინტერესი ქვეყნისთვის, მოსახლეობისთვის ამ პროექტში არ იყო. ტარიფის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

— ნათია თურნავა აცხადებდა, ამ მიწებს ინვესტორი თან ვერ წაიღებს.

— დიახ, დიახ და ახლა, როცა შეჩერდა მშენებლობა, რატომღაც მისი სერიოზული კომენტარი არ მინახავს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ყველა დოკუმენტაციის გასაჯაროვება არ ხდება, კონკრეტული ხელშეკრულებაც ხომ დამალული იყო. ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომელიც ამ კუთხით არის გაფორმებული, ადევს ნოღაიდელის „ხელი“. სწორედ ნოღაიდელმა, მისი პრემიორობისას შემოიღო ეს სისტემა, რომელიც თავიდან „თელასთან“ მიმართებაში დაუშვა, შემდეგ კი სხვებზეც გავრცელდა. დოკუმენტაციის გამოთხოვისას კომპანიები გეუბნებიან, რომ ეს არის კონფიდენციალური. როგორ შეიძლება ეს? ნოღაიდელის შემდეგ ბევრი მოვიდა და წავიდა, თუმცა ეს სისტემა არავინ დაშალა, პირიქით, უფრო ჩაიკეტა სივრცე. რიგით მოქალაქეს კი არა, დეპუტატებს უმალავენ.

კიდევ გავიმეორებ, ძალიან აქტიური გახდა ტერმინი ენერგოდამოუკიდებლობა. ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიქნებით ჩვენ ენერგოდამოუკიდებლები: არა გვაქვს გაზი, ნავთობი, მარტო ჰესებით იქნები დამოუკიდებელი? ქვეყნის უსაფრთხოებაა მთავარი საზრუნავი, კიდევ გავიმეორებ — რასაც ამ პროექტით გვთავაზობდნენ, ქვეყნისთვის არც ენერგოდამოუკიდებელობის და არც სხვა შეღავათების მომტანი არ იყო.

◎ გილოცავთ, კოლეგა!

მერაბ ბერაძე 85 წლისაა

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მერაბ ვლადიმერის ძე ბერაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:



ბატონო მერაბ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან სამშობლოს სამსახურში დამაშვრალ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დიახ, ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი საგულისყურო და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის აგრერიგად საჭირო საქმიანობა. თქვენი პირველი იუმორისტული ნოველები და ნაკვესები ხომ 1971 წელს გამოქვეყნდა და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – ნოველები, მოთხრობები, პიესები, ლექსები, პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პიესები, ისეთები, როგორიცაა „მზე ნეკერჩხლის ტყეში“, „ორი ბილეთი შეგვიანებული მგზავრებისათვის“, „ცივა, საყელო აიწიეთ“, „ცთუნება“, ქალაქელი გვრიტები და შავი მარგალიტები“, „უკანასკნელი ტყვია“ ქართული დრამატურგიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. ისინი წარმატებით იდგმებოდა როგორც ქართული, ისე საზღვარგარეთის თეატრების სცენაზე, წარმატების საიდუმლო კი ის იყო, რომ მათ გამოარჩევდათ ცხოვრებისეული სიმართლე, პლასტიკურობა, პუბლიცისტური სიმახვილე, სიუჟეტის სიმძაფრე და თემის აქტუალობა.

ქართველ ბავშვების დიდი მეგობარი ხართ და თქვენი თოჯინური სპექტაკლებიც („ძალა ერთობაშია“, „ხელმარჯვე ოსტატები“) ამის მშვენიერ დასტურს წარმოადგენს. ჩინებული ლირიკოსი ბრძანდებით. თქვენს ლექსებზე არაერთი სიმღერა შეიქმნა, რომელთა შორის ობოლი მარგალიტივით ბრწყინავს „პაპანაქება ზაფხულში“. ბოლო წლების მოვლენად იქცა ლექსი „ავუნთოთ სანთლები მშობლებს“, რომელიც არაერთ ჟურნალსა თუ გაზეთში დაიბეჭდა და არაერთ ენაზეც ითარგმნა.

თქვენი სცენარებით გადაღებულ სატელევიზიო ფილმებიდან განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მხატვრულ ფილმს „მე მოვედი“.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია თქვენმა ისეთმა წიგნებმა, როგორიცაა „ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი“, „ანეკდოტები და კურიოზები ტელევიზიაში“, „საჩუქარი“, „ცოდვაა დასავიწყებლად“...

ქართულ ჟურნალისტიკას თქვენი სახით ელვარე ვარსკვლავი ჰყავს, მართლაც რომ სასახელო გზა განვლეთ საქართველოს ტელევიზიაში, სადაც სატელევიზიო პროგრამა „ენერგიის“ სულისჩამდგმელი და მართლაც ენერგიული ხელმძღვანელი იყავით. როგორ დაგვავიწყდება, რა მუხლჩაუხრელად იბრძოდით, რომ ძლიერთათვის ამა ქვეყნისათა დაგენახვებინათ ენერგიის ალტერნატიული წყაროების სასიცოცხლო მნიშვნელობა. საამაყოა, რომ სწორედ თქვენი ძალისხმევით საქართველოს მთიანეთში განლაგებულ 74 ეკლესია-მონასტერში მზის სხივებს გარდაქმნიან ელექტროენერგიად და ამ შუქზე ტარდება საეკლესიო რიტუალები.

გვახარებს, რომ მონიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და 1990 წლის ყველაზე პოპულარული „წლის ჟურნალისტის“ წოდება, ჟურნალისტთა ფედერაციის 4 პრიზი, ხართ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებული ხართ იუნესკოს მედლით მეცნიერების პროპაგანდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრიზით „მამულის ერთგულებისათვის“... მეგობრებს ხიბლავთ საოცარი იუმორის გრძნობით და უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს იუმორი გეხმარებათ ჩვენი უსიხარულო, უმძიმესი დღეების გადატანაში.

ბატონო მერაბ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

◎ კვალი დღევანდელობაში

კაცი - დღესასწაული

კაცი თავისი ნაღვაწით იცნობა. ყოველი ადამიანი საკუთარი სამყაროს ანარეკლია.

გარი ჩაფიძეს შეუძლია თქვას: მოვედი, ვიშრომე,ვიღვაწე, სიკეთე ვთესე და ბედნიერი ვარო. წინ კიდევ დიდი ცხოვრება აქვს გასავლელი და ვინ იცის, რამდენ კეთილ საქმეს გააკეთებს კიდევ.

კაცში ვაჟკაცობისა და სულიერი შემართება თუ არ არის, ისე ვერაფერს გააკეთებს, ვერც სიკეთეს და ვერც საქვეყნო საქმეს.ზოგი ისე კვდება, თითქოს არც ყოფილა ამ ქვეყანაზე, ზოგს კი უფალი აძლევს შანსს სიხარული მიანიჭოს ადამიანებს.

რამდენიმე ხნის წინ ნიჭიერი ახალგაზრდების ინტერესთა დამცველმა საერთაშორისო ასოციაციამ მიმართა თხოვნით გარი ჩაფიძეს, ერთი უნიჭიერესი გოგონა, ოთხი წლის შვილის დედა მარიამ თედორაძე ჩაერიცხა თავის სასწავლებელში გადასახადის გარეშე. მარიამი ახლა უკვე სტუდენტია და მომავალი გარანტირებული აქვს.

როცა გაიგო, რომ ერთ ჩვენს თანამოქალაქეს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ჰქონდა და წამალს ვერ ყიდულობდა, 500 ლარის წამლები შეუძინა და აფთიაქის კურიერის ხელით მოულოდნელად სახლში გაუგზავნა.

ასე სათითაოდ რა ჩამოთვლის მის მიერ გაკეთებულ სიკეთეს. კაცს, რომელსაც შეუძლია სხვისი ტკივილითა და სიხარულით ცხოვრება გარი ჩაფიძეა

სტუდენტებს ასე მოძღვრავს – „გახსოვდეთ სულიერი სრულყოფილების კიბეზე მადლს აჰყავს ადამიანიო“!

კაცს,რომელსაც შეუძლია სხვისი ტკივილებითა და სხვისი სიხარულით ცხოვრება, გარი ჩაფიძეა

დიდი ხანი არ არის, რაც რუსთავში ცხოვრობს, ააშენა ულამაზესი აკადემიური ქალაქი, სადაც სასწავლებელთან ერთად, შეიფარა მოხუცი პედაგოგები და ქუჩისთვის განწირული ბავშვები.

გარი ჩაფიძე დაფასებულია სხვა ქვეყნებშიც. ახლახან წინასწარ შედგენილი გეგმითა და დამტკიცებული დღის წესრიგით ქ.კიევში გაიხსნა ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის რიგგარეშე სესია, რომელშიც უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას, რუმინეთის, ბელარუსის, პოლონეთის, სლოვაკეთის, ყაზახეთისა და ბულგარეთის პედაგოგიური კავშირებისა და სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლობითი დელეგაციები მონაწილეობდნენ.დახურული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით ის პარლამენტის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

გარი ჩაფიძე საქართველოს გოგეგბაშვილის კავშირის თავმჯდომარეა, ასევე საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურულ კავშირს ხელძღვანელობს.

ბატონო გარი!

გვინდა გისურვოთ სიცოცხლის ბოლომდე ისე გეცხოვროთ, უყვარდეთ,ახსოვდეთ,ეიმედებოდეთ ადამიანებს და ყოველთვის ეთქვათ, რომ გარი ჩაფიძე ეს არის „კაცი – დღესასწაულიო“...

წარმატებებს გისურვებთ!!!

მზია ანთიძე,
ნიჭიერი ახალგაზრდების ინტერესთა დამცველი და მხარდამჭერი საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი;

გივი ჯაახუა,
ჟურნალისტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე;

ლეილა გეგეშიძე,
პროფესორი;

მარიამ თედორაძე,
სტუდენტი;

ნიკოლოზ ქავთარაძე,
საპატრიარქოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,

გურამ ქაშაკაშვილი,
რუსთავის საპატიო მოქალაქე, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

ახალგაზრდა პიანისტის ახდენილი ოცნება

კეთილი ადამიანების დახმარებით გიორგი საჯაია გერმანიაში ისწავლის

მუსიკის სამყაროში ახალგაზრდა პიანისტ გიორგი საჯაიას კარგად იცნობენ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის (რუსთაველის პრემიის ლაურეატ, პროფესორ მანანა დოიჯაშვილის კლასი) წარჩინებით კურსდამთავრებულმა ერთი წელიწადი ავსტრიის დედაქალაქ ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის მიწვევითა და დაფინანსებით ამ უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში ისწავლა.

ნიჭიერი მუსიკოსი რამდენიმე ინსტრუმენტზე უკრავს. საქართველოს, საერთაშორისო და შოპენის კონკურსების არაერთგზის ლაურეატი და გრან-პრის მფლობელია. იმედია, ბევრს ახსოვს, 2015 წელს თბილისში გამართული ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის საზეიმო გახსნაზე გიორგი საჯაიამ სამ მეგობართან ერთად როიალზე რევაზ ლაღიძის „საჭიდაო“ რომ შეასრულა. კონცერტები აქვს ჩატარებული გერმანიის რამდენიმე ქალაქში, პოლონეთში, მანჩესტერსა და ლონდონში. დაჯილდოებულია „ქართული კულტურის დესპანის“ დიპლომითა და მედლით.

დარგის უმაღლესი რანგის სპეციალისტებს არაერთხელ შეუქიათ ქართველი მუსიკოსის ხელოვნება, მეტიც - ლონდონელმა პროფესორმა ნორმა ფიშერმა და ვენიდან ბატონმა კონდრატ ლაიტნერმა გიორგის ოფიციალური რეკომენდაცია მისცეს საორკესტრო-სადირიჟორო ფაკულტეტზე სწავლის გასაგრძელებლად, რომლის საუკეთესო სკოლად გერმანიის ქალაქ მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი სასწავლებელი მიიჩნევა. უნივერსიტეტის ვიცე- პრეზიდენტის, პროფესორ კლაუს მორის 2021 წლის 9 ივლისის ოფიციალური შეტყობინებით, გამოცდაზე დაშვებული 48 აპლიკანტიდან სასწავლებელში მხოლოდ გიორგი საჯაია ჩაირიცხა, რითაც ამ ახალგაზრდა კაცმა 10 წლის წინათ გარდაცვლილი დედის ოცნება რეალობად აქცია.

გიორგი საჯაია გერმანიაში სასწავლებლად ოქტომბრის დასაწყისში უნდა გაემგზავროს. რომ არა კეთილი ადამიანების დახმარება, ამდენი გარჯა წყალში ჩაეყრებოდა, რადგან ოჯახს მისი სასწავლებლად დაფინანსება არ შეეძლო. მეტიც – გერმანიაში გამოცდებზე გასამგზავრებელი თანხაც პედაგოგმა მოუძია. გიორგის ამჯერად მშველელად გამოუჩნდა მსოფლიოში ცნობილი ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს. ახალგაზრდა სპეციალისტს იგი მიუნხენში გამოცდების შემდეგ გაეცნო. ქალბატონმა ლიზამ მისი გასაჭირი რომ შეიტყო, არც დაფიქრებულა, ისე სწავლისა და ვიზის მისაღებად საჭირო თანხა თავად გაიღო. ამას წინათ საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ ეთერით გამოსვლისას მან გიორგი საჯაია შეაქო და, ვისაც ეს ხელეწიფება, ყველას მოუწოდა, გიორგისა (მისთვის გადარიცხული ფული მიუნხენში 4-წლიანი სწავლისა და ცხოვრებისთვის საკმარისი ვერ იქნება) და მის მსგავს ახალგაზრდებს დაეხმარონ, რადგან ამ სასიკეთო საქმისთვის გაღებული თანხა საქართველოს ნათელი მომავლისთვის ჩადებული ინვესტიცია იქნება.

ვაჟა დანელია

ერთწლიანი შინაპატიმრობა ექსპრეზიდენტს

სასამართლომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის უკანონო დაფინანსების საქმეზე დამნაშავედ ცნო.

პროკურატურის მტკიცებით, სარკოზის პარტიამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხარჯების დადგენილ ზღვარს (22.5 მილიონი ევრო) ორჯერ გადააჭარბა, შემდეგ კი პიარ-კომპანია დაიქირავა, რათა ეს ხარჯები დაემალა. სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელის მოადგილემ, ჟერომ ლავრიომ საჯაროდ აღიარა, რომ პიარ-კომპანიისთვის გამოყოფილი თანხების გადამისამართება ევალებოდა, და განაცხადა, რომ საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა. 17 ივნისს, წინასაარჩევნო კამპანიის უკანონო დაფინანსების საქმეზე პროკურატურამ ნიკოლა სარკოზისთვის 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. სასამართლომ ექსპრეზიდენტს ერთწლიანი შინაპატიმრობა მიუსაჯა. იგი ვალდებულია ერთი წელი ელექტრონული სამაჯური ატაროს.

რატომ ტოვებს ხალხი ოკუპირებულ ახალგორს?!

სკოლის მასწავლებელმა, რომლის ვინაობას მისი უსაფრთხოების გამო არ ვასახელებთ, ახალგორი ზაფხულში დატოვა და საცხოვრებლად წეროვანში გადავიდა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მას მშობლები დარჩა, თუმცა უკან დაბრუნებას იმ დრომდე არ აპირებს, ვიდრე გზა სრულად არ გაიხსნება.

მასწავლებელი რადიო თავისუფლებას უყვება, რა ხდება ამჟამად მის სკოლაში, სადაც ერთ დროს ქართულად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი:

„ახლა სკოლაში საუბარიც კი იკრძალება ქართულად. არადა იქ დაბაში ყველა ქართულად საუბრობდა, მათ შორის ოსებიც და უცებ გადაწყვიტეს, რომ სწავლა ეტაპობრივად რუსულ ენაზე გადაეყვანათ, მაგრამ ამ ეტაპობრიობას, ის მოჰყვა, რომ მშობლებს ურჩევნიათ ბავშვები დაბიდან წაიყვანონ და სხვაგან მიაღებინონ ნორმალური განათლება. ახალგორში ვეღარც ქართულად სწავლობენ, ვეღარც რუსულად. პედაგოგებსაც ძალიან უჭირთ, რადგან იქ რუსულენოვანი მასწავლებლები ცოტაა. ალბათ სკოლების დიდი ნაწილი დაიხურება, იქ დარჩენილი პედაგოგების ნაწილი წეროვანში გადმოვა და აქ ეცდება სამსახურის მოძებნას, რადგან ვხედავთ, რომ ბავშვები თითქმის აღარ დარჩნენ დაბაში“, — გვეუბნება მასწავლებელი, რომელმაც ახალგორი და შესაბამისად სკოლაც, ზაფხულში დატოვა.

ახალგორის ლეგიტიმური გამგებელი **ნუგზარ თინიკაშვილი** წყაროს მიერ მოთხრობილ ამბავს ადასტურებს. მისი თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება თუ არ დაუთმეს ოკუპაციის პირობებში არსებულ ვითარებას და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას, 3-4 წელიწადში დაბის სრული რუსიფიკაცია მოხდება. იგივეს ამბობენ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტში, რომელიც ახალგორის რუსიფიკაციის საკითხებს დიდი ხანია სწავლობს და ბოლო განცხადებებში საგანგაშო ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას.

„6 სექტემბერს ახალგორის რაიონის სკოლებში, რომლებიც 2017 წლამდე ქართულენოვანი იყო, პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით სწავლა რუსულ ენაზე დაიწყო. პროცესის ამგვარად გაგრძელების შემთხვევაში, 3 წლის შემდეგ, სკოლები სრულად რუსულენოვანი გახდება“, — წერია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის 29 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში.

იქვე მითითებულია, რომ: **მიმდინარე სასწავლო წელს ახალგორის რაიონს 17 პირველკლასელი ჰყავს, კერძოდ, ახალგორის რუსულ საშუალო სკოლას — 9, ახალგორის საშუალო სკოლას, რომელიც 2017 წლამდე ქართულენოვანი იყო — 3, სოფელ ორჭოსნის სკოლას — 3, თითო-თითო პირველკლასელი სოფელ იკოთის და სოფელ კორინთის სკოლებს. პირველკლასელი არ ჰყავს რაიონის დანარჩენ არც ერთ ოსურ სოფელს, მაგალითად, ზაყორს და ისეთ დიდ სოფელსაც კი, როგორიცაა წინაგარა. ამ უკანასკნელში მსგავსი ვითარება გამოწვეულია მცხოვრებლების შრომითი მიგრაციით, ძირითადად, ვლადიკავკაზში და დაბა ახალგორში. ამ ეტაპისთვის, არაფერია ცნობილი სოფელ ახმაჯის სკოლაზე, თუმცა დიდი ალბათობით, ის უახლოეს მომავალში დაიხურება, რადგან წელს, სასწავლო წლის დაწყებისას სკოლას არც ერთი მოსწავლე არ მიუღია. DRI-ს ინფორმაციით, სოფელში მცხოვრები ერთადერთი ბავშვი, რომელიც წელს პირველ კლასში მივიდა, მშობლებმა ახმაჯის მაგივრად ახალგორის საშუალო სკოლაში შეიყვანეს.**

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ იყენებს შესაბამის მექანიზმებს და არ მიმართავს ძალისხმევას იმისთვის, რომ ოკუპირებულ დაბაში ვითარება შეცვალოს. მისი აზრით, ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციებს უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქცევინოს ქართული ენის დევნის, და ეთნიკური ნიშნით მოქალაქეების დისკრიმინაციის ფაქტებზე. ხოლო, მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვის საპასუხოდ, საქართველოს განათლების სამინისტრომ დაბაში დარჩენილი ბავშვებისთვის და პედაგოგებისთვის საკომპენსაციო პროგრამები უნდა შექმნას.

ოკუპირებული ახალგორის სკოლების რუსიფიკაციის პროცესი 2017 წლიდან დაიწყო და ამის შესახებ რადიო თავისუფლება წერდა. მანამდე ახალგორის რაიონის რვა ქართულ სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოებითა და პროგრამით მიმდინარეობდა.

2017 წელს დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქართული სკოლების სასწავლო პროგრამა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეალობას ვერ ერგებოდა. განსაკუთრებით გამოიკვეთა ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მოსაზრებით, გაკვეთილები ტენდენციური იყო და არა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ინტერესების სასარგებლოდ.

სასწავლო სახელმძღვანელოების ექსპერტიზის შემდეგ, დე ფაქტო ხელისუფლება მივიდა „დასკვნამდე“, რომ ისტორიის სახელმძღვანელო, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, როგორც „სახელმწიფოს“ წინააღმდეგ იყო მიმართული. შესაბამისად, სახელმძღვანელო სასწავლო პროგრამიდან საერთოდ ამოიღეს; ვითარებაზე კონტროლის მიზნით კი, ქართულ სკოლებში შეიტანეს ის პროგრამა, რომელიც სამხრეთ ოსეთის სხვა დანარჩენ სკოლებში ისწავლებოდა. ოკუპირებულ და იზოლირებულ ახალგორს მოქალაქეების ნაწილი ტოვებს. მიგრაციას ძირითადად განათლების და ჯანდაცვის სერვისების მიუწვდომლობა განაპირობებს. იქაურები დაბაში პერსპექტივას ვეღარ ხედავენ და ცდილობენ შვილების უფრო უსაფრთხო და სტაბილურ გარემოში გადაყვანას, სადაც განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ.

გოგა აფციაური,
რადიო თავისუფლების
კორესპონდენტი ზიდა ქართლში.

აფხაზეთში **მოსკოვისა და თბილისის მიზნები ამჯერად გალში მდებარე ჰიდროელექტროსადგურების გამო ეჯახება ერთმანეთს. საქართველოს ვარდნილჰესების კასკადის შემადგენელი სადგურების რეაბილიტაცია სურს. თუმცა, ამისთვის, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების თანხმობა სჭირდება.**

სოხუმი ჯერ კიდევ ფიქრობს, ვის მიანიჭოს უპირატესობა: ქართულ თუ რუსულ კომპანიას.

ვარდნილჰესების კასკადი გალის რაიონში, მდინარე ერისწყალზეა მოწყობილი და ოთხი ჰესისგან შედგება. მათგან დღეს მხოლოდ 220 მეგავატი სიმძლავრის „ვარდნილი 1“ მუშაობს. დანარჩენი სამი კი, რომელთა ჯამური სიმძლავრე 120 მეგავატია, 90-იან წლებში გაიძარცვა და გაჩერდა. ეს ჰესები ფაქტობრივად თავიდან არის ასაშენებელი.

„ეს ჰესები ჩვენს ბალანსზეა და გვინდა გავუკეთოთ რეაბილიტაცია. ჯერჯერობით განხილვის პროცესშია ეს საკითხი“, — ამბობს „ენგურჰესის“ დირექტორი ლევან მებონია. ვარდნილჰესების კასკადი ენგურჰესიდან გამომავალი წყლის არხზეა აშენებული. საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილი ჰესები კომპანია „ვარდნილჰესების კასკადს“ ეკუთვნის, რომელიც თავის მხრივ, „ენგურჰესის“ შვილობილი კომპანიაა. სოხუმისთვის ეს კასკადი „აფხაზური სახელმწიფოს საკუთრებაა“.

„ვარდნილჰესების სამი სადგური (მეორე, მესამე და მეოთხე — რ. თ.) წელს, ზაფხულში ბალანსზე ავიყვანეთ. ისინი აფხაზური სახელმწიფოს საკუთრებაა. ახლა საჭიროა, რომ სადგურები ამუშავდეს“, — თქვა 21 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ.

ვინ აამუშავებს სადგურებს? სოხუმი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. დე ფაქტო პრეზიდენტის ცნობით, თავდაპირველად რეაბილიტაციის სურვილი ერთერთმა რუსულმა კომპანიამ გამოთქვა. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ ინვესტორს შემხვედრი წინადადებით მიმართა. ამის შემდეგ პროცესში კიდევ ორი კომპანია ჩაერთო — მათგან ერთ-ერთი ქართული შპს „ენგურჰესია“.

„ჩვენ უპირატესობას იმ კომპანიას მივანიჭებთ, რომელიც საუკეთესო წინადადებას შემოგვთავაზებს. მაგალითად, ერთი კომპანია გვთავაზობს საიჯარო გადასახადს — 200 მილიონ რუბლს, ასევე ის გადაიხდის გადასახადებს“, — თქვა ბჟანიამ, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რომელი.

„ვარდნილჰესების“ აღდგენა აინტერესებს კომპანია „სოხუმჰესსაც“, რომელიც ადგილობრივი ენერგეტიკული კომპანიის, „ჩერნომორენერგოს“ ყოფილ ხელმძღვანელს, რეზო ზანთარიას ეკუთვნის. მეორე კომპანიის კი მხოლოდ სახელწოდებაა ცნობილი — „ჩისტაია ენერგია“.

აფხაზი ჟურნალისტის, იზიდა ჭანიას ინფორმაციით, ეს უნდა იყოს რუსული კომპანია, რომელიც კრიპტოვალუტას აწარმოებს და, სავარაუდოდ, სურს, ხელი მიუწვდებოდეს ჰესების რესურსზე.

თბილისისთვის ამ სადგურების რესურსი შესაძლებელია იმდენად მნიშვნელოვანი არ იყოს, რამდენადაც ამ საკითხის პოლიტიკური მხარე. ამასთან, სოხუმშიც იციან, რომ „ვარდნილჰესების“ მუშაობა „ენგურჰესისგან“ დამოუკიდებლად შეუძლებელია.

„ეს ერთიანი კომპლექსია. ისინი სინქრონულად უნდა მუშაობდნენ, უნდა იყოს ერთიანი დისპეტჩერი. მაგალითად, თუ („ენგურჰესიდან“) დამატებით წყალს უშვებენ, აქ („ვარდნილჰესებზე“) უნდა მოახდინონ რეაგირება, ავარიულად გაუშვან (წყალი), ან სხვა რამე“, — თქვა დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ.

ენგურჰესი — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კლიენტია და მას აქვს თავისი საკრედიტო ხაზები პირდაპირი ინვესტიციების მისაღებად. **„მაშ, რატომ ეძებს სოხუმი ინვესტორებს „ვარდნილჰესებისთვის“? იქ ინვესტორები საერთოდ არ არის საჭირო. მათ („ენგურჰესს“) შეუძლიათ აიღონ კრედიტი, ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით, და აღადგინონ ყველაფერი“,** — უთხრა „ეხო კავკაზას“ აფხაზმა ეკონომისტმა ახრა არისტავამ.

„ვარდნილჰესების“ რეაბილიტაციის დასაფინანსებლად „ენგურჰესის“ დირექცია უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს EBRD-თან. ამ დონორის მიერ გამოყოფილი 38 მილიონი ევრო წელს „ენგურჰესის“ სადერივაციო გვირაბის შეკეთებაზე დაიხარჯა. წინასწარი შეფასებით, „ვარდნილჰესების“ აღდგენისთვის 100-დან 120 მილიონი დოლარი იქნება საჭირო. თუმცა, სამუშაოების დასაწყებად თბილისს ჯერ სოხუმის „მწვანე შუქი“ სჭირდება.

სანდრო ჯუფალაკიანი

ელვის პრესლი - „როკენ-როლის მეფე“



ამერიკული პოპ-მუსიკის ლეგენდა ელვის არონ პრესლი 1935 წლის 8 იანვარს დაიბადა მისისიპის შტატის ქალაქ ტიუპელოში, გლედის და ვერონა პრესლების ოჯახში. დაბადების დროს მშობლებმა ელვისს მეორე სახელი – არონი დაარქვეს, რათა მისი მკვდრადშობილი ტყუპისცალი ძმის სახელს – გარონს მიმსგავსებოდა.

ელვისი ბავშვობიდანვე მუსიკისა და რელიგიის გარემოცვაში იზრდებოდა, იგი ეკლესიის ხშირი სტუმარი იყო და იქაურ გუნდშიც მღეროდა. თერთმეტი წლისას მშობლებმა ველოსიპედის ნაცვლად, გიტარა უყიდეს. შესაძლოა, ამ არჩევანმა გადაწყვიტა მისი პირველი მუსიკალური წარმატება, ერთ-ერთ ბაზრობაზე ხალხური სიმღერის შესრულებისთვის მან სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

1948 წელს პრესლების ოჯახი ქალაქ მემფისში (ტეხასის შტატი) გადავიდა, სადაც არონის მამისთვის უფრო იოლი იყო სამუშაოს პოვნა. სწორედ აქ გამოჩნდა პატარა ელვისის ინტერესი თანამედროვე მუსიკის მიმართ, რადიოში უსმენდა ქანთრის მუსიკას, ტრადიციულ ესტრადას, აგრეთვე ფერადკანიანთა მუსიკალურ გადაცემებს, სტუმრობდა ბილ-სტრიტის კვარტალებს მემფისში, სადაც ყურადღებით აკვირდებოდა შავკანიანი ბლუზმენების დაკვრას, ათვალიერებდა მაღაზიებს, რომლის გავლენით ელვისს ჩაცმის თავისებური სტილი ჩამოუყალიბდა. როცა მერვე კლასში ყოფნის დროს მუსიკის მასწავლებელმა მას უთხრა, რომ სიმღერის მონაცემები არ ჰქონდა, მეორე დღეს მასწავლებელს გიტარით ზანგური მუსიკა უმღერა.

1950 წელს ელვისი გიტარის გაკვეთილებს იღებს ჯესი ლი დენსონთან, რომელთანაც თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ ძმები დორსი და ჯონი ბიორნეტები, როკაბილიის შემდგომი ვარსკვლავები. მათთან იყო აგრეთვე ჯონი ბლეკი, მომდევნო პერიოდში პრესლის ბასისტის ბილ ბლიკის ძმა. ყველა ეს მუსიკოსი ერთად უკრავდა, სახლის წინ ქუჩაში. მათი ძირითადი რეპერტუარი შედგებოდა ქანთრის და გოსპელის სიმღერებისგან. ამაში ხშირად ელვისიც მონაწილეობდა, დიდი ინტერესით ესწრებოდა ყოველთვიურად გამართულ გოსპელის შოუს, რომელიც „ელის აუდიტორიუმის“ დარბაზში იმართებოდა.

1953 წელს, სკოლის დამთავრებამდე ორი თვით ადრე, ელვისმა,როგორც გიტარისტ-შემსრულებელმა, მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ სასკოლო ფესტივალში, შემდეგ კი ოვერტონ-პარკში გამართულ შოუში. იმავე წლის აგვისტოში გრამფირფიტაზე ორ სიმღერას წერს სტუდია „მემფის რეკორდინგ სერვისში“, რომელიც სემ ფილიპს ეკუთვნოდა, ამაში მას რვა დოლარი გადაუხადეს. მოგვიანებით ელვისი იტყვის, რომ ეს ჩანაწერი, როგორც ექსპერიმენტი, დედამისისთვის სიურპრიზად გააკეთა. ჩანაწერის მოსმენის შემდეგ სემ ფილიპსმა თავისი მდივანი გააფრთხილა: მომღერალი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდა, თუმცა მომდევნო თვეებში სტუდიიდან არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა. 1954 წლის იანვარში პრესლი კიდევ ერთ გრამფირფიტას წერს, მაგრამ ამას რაიმე გამოხმაურება არ მოყოლია. იმავე წლის გაზაფხულზე წარუმატებელი იყო მისი მონაწილეობა, ადგილობრივი გოსპელის კვარტეტში მოსახვედრთა კონკურსში (აქ მას უთხრეს, რომ სიმღერა არ იცოდა). ასევე უშედეგოდ დამთავრდა მისი მონაწილეობა მემფისის ერთ-ერთ კლუბში გამართულ შესარჩევ კონკურსზე (ანსამბლის ხელმძღვანელმა ელვისს ურჩია – უკეთესი იქნებოდა თუ საბარგო მანქანის მძღოლად დაიწყებდა მუშაობას).

მალე სემ ფილიპსის სტუდიიდან დაურეკეს და რეპეტიციაზე მიიწვიეს. აქ იგი გიტარისტ სკოტ მურთან და კონტრაბასისტ ბილ ბლექთან ერთად გადიოდა რეპეტიციას. ერთ-ერთ შესვენების დროს პრესლიმ გიტარის დაკვრა დაიწყო. მან მოულოდნელად არტურ კრუდაპის ბლუზს (დედა) რაღაც სახუმარო რიტმი შესძინა. მური და ბლეკი სიამოვნებით შეუერთდნენ. დაინტერესებულმა ფილიპსმა ჩაწერა და ადგილობრივ რადიოსადგურში მიიტანა, რომელსაც საათში რამდენიმეჯერ გადასცემდნენ. სულ მალე მსმენელთა მოწონების ზარები გაისმა. მსმენელი მომღერლის ვინაობით დაგულისყურდა, რათა გაეფანტათ ეჭვი შემსრულებლის აფრო-ამერიკული წარმომავლობის შესახებ, პრესლი სტუდიაში მიიწვიეს და მან პირდაპირ ეთერში მისცა ინტერვიუ. სამეულმა კიდევ ერთი სიმღერა ჩაწერა და ორივე სიმღერა გრამფირფიტაზე აისახა. ეს გრამფირფიტა 20 ათასი ცალის ოდენობით მომენტალურად გაიყიდა და ადგილობრივ ჰიტ-პარადზე სოლო სიმღერამ (სინგლი) მე-4 პოზიცია დაიკავა.

პროდიუსერ სტივ შოლზის მიერ 1956 წლის იანვარში ნიუ-იორკის და ნეშვილის სტუდიებში ჩაწერეს ელვისის ორი დისკი, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ ჰიტ-პარადზე პირველი ადგილი დაიკავა და მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. იანვრის ბოლოს პირველად გამოდის ნაციონალური ტელევიზიით. აქ იგი ხუთჯერ გამოვიდა, რამაც საერთო პოპულარობა მოუტანა. სწორედ ამან განაპირობა პროდიუსერ ტომ პარკერის დაინტერესება, მან მომღერალს ორკვირიანი გასტროლები მოუწყო ლას-ვეგასში, თუმცა ადგილობრივმა მსმენელმა პრესლის გამოსვლები გულგრილად მიიღო. მიუხედავად ამისა, მისი პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა ამერიკის საზღვრებს გარეთ: კანადა, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, იტალია. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირშიც, მაშინ გრამფირფიტების შემოტანის აკრძალვის მიუხედავად.

1956 წელი ელვის პრესლისთვის ფრიად წარმატებული აღმოჩნდა: ტომ პარკერი მასთან ექსკლუზიურ ხელშეკრულებას აფორმებს, რომლის საფუძველზეც მომღერლის მთლიანი შემოსავლის 25% პარკერს ერიცხებოდა. ტელეგამოსვლების და გასტროლების პარალელურად, იგი ახალ-ახალ ჩანაწერებს ახორციელებდა. სულ მალე ელვისმა „სენჩორი ფოქსის“ სტუდიიდან მეორეხარისხოვან როლზე მიიღო შეთავაზება. კინოფილმის დასახელება იყო „რენოს ძმები“. მასში მომღერლის ერთ-ერთი სიმღერა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ფილმს სახელი შეუცვალეს და „შემიყვარე ნაზი სიყვარულით“ დაარქვეს. მისმა ერთ-ერთმა გამოსვლამ ტელე-შოუში სიმღერით „ჰაუნდ დოგ“ (ძაღლის ძაღლი), დიდი კრიტიკა გამოიწვია ამერიკულ პრესაში. ნეგატიური რეაქცია რომ შერბილებულიყო, შემდგომ გადაცემას მან შედარებით კომიკური სახე შესძინა, ფრაკი ჩაიცვა და ისე მიმართა ძაღლს. ელვისი ასეთნაირად სულ სამჯერ გამოვიდა და სიცოცხლის ბოლომდე, 1960 წელს ფრენკ სინატრასთან ერთად მონაწილეობის გარდა, ტელეგადაცემებში აღარ გამოსულა. 1956 წლის ბოლოს პრესლი დანარჩენ სამ მუსიკოსთან ერთად „სემ ფილიპსის“ სტუდიაში ჩაწერას ახერხებს. მეორე დღეს მემფისის გაზეთში მათზე სტატია გამოქვეყნდა სათაურით – „კვარტეტი მილიონ დოლარად“. იმავე წელს ამერიკულმა ჟურნალმა – „ვარეტემ“ ელვის პრესლი „როკენ-როლის მეფედ“ მონათლა.

1957 წელს ელვისს სამ ფილმში იღებენ, სადაც მან გაახმოვანა კომპოზიტორების: ბენ ვაისმანის, სიდ უეინის, აარონ შრიოდერის, სიდ ტეპერის, როი ბენეტის, ლიბერისა და სტილერმანის სიმღერები. რაღაცნაირი სიახლის და სიმძაფრის შეტანის მიზნით, მომღერალმა თავისი შესასრულებელი როლებისთვის თმები შავად გადაიღება, რის შემდეგ თავის ნატურალურ თმის ფერს, სამხედრო სამსახურში ყოფნის გარდა, სიცოცხლის ბოლომდე აღარ დაბრუნებია. თავისუფალ დროს, სკოტ მურთან და ბილ ბლიკთან ერთად ალბომების ჩაწერას განაგრძობდა.

1958 წელს ელვისი ამერიკის არმიაში გაიწვიეს. პირველდაწყებითი სამხედრო მომზადება ტეხასის შტატის უორტ-ხუდის ბაზაზე გაიარა. მიუხედავად არაფორმალური თხოვნისა, ჯარში სიმღერით არასოდეს გამოსულა. შეიტყო რა დედის მძიმე ავადმყოფობა, იგი სასწრაფოდ გაფრინდა მემფისში. ორი დღის შემდეგ დედამისი – გლედის პრესლი გარდაიცვალა, რამაც მძიმედ იმოქმედა მასზე. სულ მალე პრესლი გერმანიის ქალაქ ფრიდბერგში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში გადააგზავნეს. მან აქ მამამისი და ახლო ნათესავებიც გადაიყვანა. თითქმის ყველა დასვენების დროს იგი მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად ატარებდა. მათი ზედმეტად თავისუფლად მოქცევის გამო, გერმანულმა პრესამ ამ ჯგუფს „მემფისის მაფია“ შეარქვა. ერთ–ერთი ოჯახური თავყრილობის დროს ელვისს ამერიკის სამხედრო ოფიცრის 14 წლის ქალიშვილი პრისცილა ბიული გააცვნეს. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, რაც 1967 წელს მათი შეუღლებით დასრულდა. წყვილს ერთადერთი ქალიშვილი ლიზი-მარი ეყოლათ.

1960 წელს მომღერალი ჯარიდან განთავისუფლდა. მან მაშინვე ჩამწერ სტუდიას მიაშურა და ნეშვილში სამი სინგლი (სოლო სიმღერა) ჩაწერა, რომლებმაც პირველი ადგილი მოიპოვეს. ეს იყო მისი პირველი გრამფირფიტა სტერეოფონული ჟღერადობით. ახალ-ახალი ჩანაწერები ასახავდა მრავალჟანრობრივ მიმართულებებს, თუმცა მასში როკენროლს ნაკლები ადგილი ეკავა. მან და პარკერმა გადაწყვიტეს, საქველმოქმედო კონცერტების გარდა, აღარ გამოსულიყო არენაზე და მართლაც 1969 წლამდე სცენაზე აღარ უმღერია.

მომღერლის შემოქმედებითი საქმიანობა მთლიანად კინემატოგრაფიას დაეთმო. მას წელიწადში სამ ფილმში იღებენ. ჰოლივუდში დატვირთული საქმიანობის გამო, იგი ლოს-ანჟელესში გადავიდა საცხოვრებლად. მისი ფილმებში მონაწილეობა დადებითად შეაფასა კრიტიკამ და კინოს მოყვარულებმა, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ფილმების მუსიკალური თანხლება, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავა და ორი „გრემიც“ მიიღო. „მეტრო-გოლდვინ-მეიერის“ სტუდიასთან 1961 წელს დადებული კონტრაქტით ყოველ ერთ ფილმში მონაწილეობით პრესლის 500 ათასი დოლარი ერიცხებოდა, ამავე დროს „პარამაუნტ პიქჩერის“ კინოჩვენებიდან, დამატებით 175 ათას დოლარს იღებდა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ჩვეულებრივი, არაჰოლივუდური ჩანაწერები 1961-63 წლებში საკმაოდ მაღალ ადგილებს იკავებდა ჰიტ-პარადებში და სარფიანადაც იყიდებოდა.

მომდევნო პერიოდში ელვისის სიმღერებმა თანდათან პოპულარობა დაკარგა, რაც აიხსნებოდა მუსიკალური ნაწარმოებების ერთფეროვნებით და მუსიკალურ ინდუსტრიაში ლეგენდარული ინგლისური კვარტეტის (ბითლზის) მიერ ტენდენციების ცვლილების შემოტანით და გავლენით. უკვე 1957 წელს მომღერლის ბოლო ორმა ალბომმა შესაბამისად 47-ე და მე-40 ადგილი დაიკავა, კინოფილმებიდან მიღებული მოგება ძლივს ფარავდა საწარმოო ხარჯებს და თვითღირებულებას.

საჭირო იყო სიახლეების შემოტანა, ახალ-ახალი სტილის და ვარიანტების მოძებნა. 1969 წლის შობის დღესასწაულზე პრესლი განსხვავებული სახით და ფორმატით წარსდგა მაყურებლის წინაშე და ტელემაყურებლის რეიტინგის მიხედვით, სეზონის ყველაზე პოპულარულ შოუდ დასახელდა. ამან მის კარიერაში გარდამტეხი როლი იქონია, გამოჩნდა ახალი პერსპექტივები და პოპ-მუსიკის მოყვარულებს ისევ თავი შეახსენა, როგორც „როკენ-როლის მეფემ“. იმავე წელს იგი ხელშეკრულებას აფორმებს ახლად გახსნილ „ინტერნაციონალის“ სასტუმროსთან (1971 წელს „ლას-ვეგას ჰილტონად“ გადაკეთდა), რომლის საზაფხულო ანგაჟემენტის (მოწვევის) საფუძველზე მომღერალმა ლას-ვეგასისთვის უპრეცედენტო თანხა – 500 ათასი დოლარი მიიღო. გამოსვლისათვის მან შეარჩია მუსიკალური ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყვნენ როკის ცნობილი წარმომადგენლები, გიტარისტის ჯეიმს ბიორტონის ხელმძღვანელობით. მუსიკოსების ეს შემადგენლობა ელვისთან ერთად იყო სიცოცხლის ბოლომდე.. ერთ თვეში მან 58 კონცერტი გამართა, რომელსაც 130 ათასი ადამიანი დაესწრო. სასტუმროსთან ხუთწლიანი კონტრაქტი დაიდო. ამის პარალელურად მომღერალი რელიგიური სახის ალბომს წერს, რაშიც მან „გრემი“ მოიპოვა. ამას მოჰყვა დოკუმენტური ფილმი „ელვისი გასტროლებზე“.

1970 წლის დეკემბერში იგი ამერიკის პრეზიდენტს, რიჩარდ ნიქსონს შეხვდა. მას მიანიჭეს – ნარკოტიკებთან ბრძოლის საპატიო ოფიცრის წოდება. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა პრესლის ოჯახური პრობლემები. ქალიშვილის დაბადების შემდეგ მან მეუღლისგან შორს დაიჭირა თავი. იგი ლინდა ტომპსონთან მეგობრობდა. 1973 წელს ელვისი და პრისცილა ოფიციალურად გასცილდნენ ერთმანეთს.

ამასობაში მომღერალი ახალ პროექტს ამზადებს, ტელეკონცერტს აწყობს, რომელიც სრულიად მსოფლიო შოუდ იქცა. მისი ტრანსლაცია თანამგზავრის გლობალური კავშირის მეშვეობით განხორციელდა, რომლის ჰონორარმა 900 ათასი დოლარი შეადგინა, ბილეთებიდან მიღებული მოგება კი კიბოს წინააღმდეგ მებრძოლ საქველმოქმედო ფონდს გადასცა.

სულ მალე პრესლის ჯანმრთელობის პრობლემებმა შეახსენეს თავი. წლების განმავლობაში იგი ოფიციალურად იყო დამოკიდებული წამლებზე, რომლებიც მისთვის ფაქტიურად ნარკოტიკებს წარმოადგენდა. ყველაფერი ჯარში სამსახურის დროს დაიწყო, როდესაც ელვისმა და მისმა გარემოცვამ წამლების მიღება დაიწყეს, რათა ღამე არ დასძინებოდეთ და დრო გაეტარებინათ. ამის საპირისპიროდ მისთვის საჭირო შეიქნა ისეთი წამლების მიღება, რომელიც ძილს მოგვრიდა. მომღერალი წონის დასაკლებ წამლებსაც იყენებდა. იგი წამალდამოკიდებული გახდა. ყველაფერ ამას თან ახლდა უამრავი საგასტროლო ტურნე. თანდათან დეპრესიამ შეიპყრო და 1977 წლის 16 აგვისტოს „როკენ-როლის მეფე“ გულის უკმარისობით გარდაიცვალა. დღემდე მის საფლავს თაყვანისმცემლების ყვავილები არ აკლდება. მომღერლის მუდმივი ადგილსამყოფელი „გრეისლენდში“, თეთრი სახლის შემდეგ, მეორე ადგილზეა მნახველთა რაოდენობით.

ამჟამად ელვის პრესლის მემკვიდრეობას სპეციალური კომპანია განაგებს, რომლის გარკვეული ნაწილი მისი ყოფილი მეუღლის პრისცილას და ქალიშვილის ლიზი-მარი პრესლის კონტროლქვეშ იმყოფება. ქალიშვილმა მამის გზა აირჩია და მომღერალი გამოვიდა. გამოშვებული აქვს სამი ალბომი.

გელა ძოძიაშვილი
(ტელ. 551491997)

◎ ევროლიგა

ახალ ამპლუაში

მათ შორის, ვისაც ნბა-ში არ უთამაშია, მანუჩარ მარკოიშვილი ტიტულებით მხოლოდ ევროლიგის ორგზის გამარჯვებულ გიორგი შერმადინს ჩამორჩება, თუმცა, რეგალიები არც მას აკლია (ალბათ, მიხვდით, საუბარია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდზე).

პირიქით, იგი თანამემამულეთა შორის ერთადერთია, ვინც ერთბაშად 5(!) ქვეყნის ჩემპიონი და იმავე, ყველაზე პრესტიჟული კონტინენტური საკლუბო ტურნირის ფინალისტია. „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთი ლიდერი კალათბურთელის კარიერის დასრულების შემდეგაც წარმატებით ემსახურება სპორტის საყვარელ სახეობას, ამჯერად — მწვრთნელის ამპლუაში. მოგეხსენებათ, შარშან იგი სუპერლიგაში „ტიტებს“ ავარჯიშებდა და, პარალელურად, ეროვნული ნაკრების თავკაც ილიას ზუროსის თანაშემწეც გახლდათ. და აი, ახალი გამოწვევა — ამიერიდან „მანუ“ ევროლიგის დებიუტანტის — „მონაკოს“ დამრიგებლის ზვეზდან მიტროვიჩის ასისტენტი იქნება.

„უმაღლესი დონის ვარსკვლავთა გარემოცვაში მყოფი ნებისმიერი სპეციალისტი ვალდებულია ყოველდღიურად ბოლომდე მობილიზებული იყოს. ვიმედოვნებ, წარმატებული სეზონი გვექნება“, — ამბობს მარკოიშვილი.

◎ ბრძენთა თამაში

ესპანურ დაფებზე

სამი გამარჯვება, 2 ყაიმი და კატალონიის ზღვისპირა ქალაქ სიტჟესში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ რაუნდში 8 ქულით დაკავებული პირველი ადგილი — ასეთია ბრძენთა თამაშის ქართველ დიდოსტატთა შესანიშნავი შედეგი.

საქართველო — უკრაინა 3:1, საქართველო — ყაზახეთი 2:2, საქართველო — გერმანია 3,5:0,5, საქართველო — პოლონეთი 2:2, საქართველო — აშშ 3:1.

პირველ ეტაპზე პარტნიორებს მეორე დაფაზე მოთამაშე **ნინო ბაციაშვილმა** ულიდერა 4 ქულით 5 პარტიიდან (3 მოგება და 2 ყაიმი). დანარჩენ „ჯვაროსანთა“ პირადი მონაგარი ასეთია: **ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი** — 3-3, **მერი არაბიძე** — 2, **სალომე მელია** — 1,5 ქულა.

მეოთხედფინალურ პლეი-ოფში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: **საქართველო — აზერბაიჯანი, რუსეთი — აშშ, უკრაინა — სომხეთი, ინდოეთი— ყაზახეთი.**

◎ თაობა

მამის კვალზე

ოლიმპიური ჩემპიონის — გიორგი ასანიძის ვაჟი კახა ასანიძე ღირსეულად განაგრძობს წინამორბედ შტანგისტთა სასახელო ტრადიციებს.

ამჯერად მან ფინეთის ქალაქ როვანიემში მიმდინარე 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის მედლებით გაგვახარა.

ორი „ვერცხლი“ (აკვრასა და ორჭიდში) და ერთი „ბრინჯაო“ (ატაცში) — ასეთია 23-წლამდელებში 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენებურის პირადი მონაგარი.

მანამდე 20-წლამდელთა შორის ატაცში ასევე საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა **არჩილ მალაყმაძე** (ისიც 73 კგ).

დანარჩენ დღეებში ფინურ ფიცარნარზე ჯილდოებისთვის იბრძოლებენ: **ედუარდ კაკაბაძე, ლომია თებიძე, ზაზა ლომთაძე, ვანო ქაზუმაშვილი, აკაკი ტალახაძე (20-წლამდელებში), ირაკლი გობეჯიშვილი, რევაზ დავითაძე, ირაკლი ჩხეიძე (23-წლამდელებში).**

◎ საუკუნეში — პირველად

ტრადიცია გვაკვალდებულებს

კარგა ხანია, ქართველ აკრობატებს ქომაგები არ გაუხარებიათ, არადა, ვიდრე ზესახელმწიფო არსებობას შეწყვეტდა, 9 მსოფლიოს ჩემპიონი გვყავდა.

და აი, გამონათება 30-წლიანი პაუზის შემდეგ: იტალიის ქალაქ პეზაროში გამართული 12-19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ვაჟთა წყვილებში მწვრთნელ **რამაზ ბუზიაშვილის** შეგირდებმა — **გიორგი ჭილლაძემ** და **ბექა დიდბერიძემ** მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ასევე მესამე ადგილი დაიკავა ჩვენმა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაშიც. ამ დღეებში იქვე ახალგაზრდებისა და უფროსების კონტინენტური ფორუმი დაიწყო, სადაც „ჯვაროსანთა“ სპორტულ ღირსებას უმცროსი ასაკის შერეული დუეტი **ლაშა ღიბრაძე** და **ლანა წურწუმია** დაიცავს (მწვრთნელი **დალი ფეიძრიშვილი**).

◎ ხალიჩაზე

ნაცნობი სახეებით

ხვალ ოსლოში იწყება და 10 ოქტომბერს დასრულდება ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ნაკრების სპორტულ ღირსებას ძირითადად ისევ ძველი გვარდია დაიცავს.



გუნდის თავკაც გიორგი იანიტბელიძის გადაწყვეტილებით, ნორვეგიულ ხალიჩაზე იჭიდავებენ: **გოგა ძიგუა (57 კგ, სამტრედია), ბექა ლომთაძე (61 კგ, ქუთაისი), ედემი ბოლქვაძე (65 კგ, სამტრედია), ზურაბ იაკობიშვილი (70 კგ, თბილისი), ავთანდილ კენჭაძე (74 კგ, ამბროლაური), ნიკა კენჭაძე (79 კგ, ამბროლაური), სანდრო ამინაშვილი (86 კგ, თბილისი), ირაკლი მწითური (92 კგ, თბილისი), ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ, თბილისი), გენო პეტრიაშვილი (125 კგ, გორი).**

როგორც ხედავთ, ტოკიოს ოლიმპიადისგან განსხვავებით, „თავისუფალთა“ შემადგენლობაში მხოლოდ ორი ცვლილებაა (57 და 65 კგ).

◎ ტატამზე

ამ დღეებში შემადგენლობა დაასახელა ძიუდოისტთა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემაც, რომელიც 6-10 ოქტომბერს იტალიის ქალაქ ოლბიაში თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს.

ვაჟები

60 კგ — გიორგი სარდალაშვილი, შაქრო შათირიშვილი;

66 და 73 კგ — მონაწილეები არ გვყავს;

81 კგ — გიორგი შერაზადიშვილი;

90 კგ — ნიკა ხარაზიშვილი, ლაშა მღებრიშვილი;

100 კგ — ილია სულამანიძე, მიხეილ ჯაფარიძე;

+100 კგ — საბა ინანეიშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი.

გოგონები

52 კგ — მარიამ ლაფაჩიშვილი, რეგინა უთნელიშვილი;

57 კგ — ნინო ლოლაძე;

63 კგ — ინდირა სილაგაძე.



გოგონებიც იბრძოლებენ

◎ ჩემპიონთა ლიგა

ბავარიელთა შოპენი

ლიონელ მესისა და კრისტიანუ რონალდუს, XXI საუკუნის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელთა, უშუალო თუ დაუსწრებელმა ქიშპმა დაუმსახურებლად გააფერმკრთალა გამორჩეული პოლონელი ბომბარდირის — რობერტ ლევანდოვსკისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მიღწევები, რომელიც ახალი მწვრთნელის — იულიან ნაგელსმანის თავკაცობითაც განაგრძობს ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფალურ სვლას.

ამჯერად რეკორდმაისტერმა „ალიანს არენაზე“ წირვა ვეტერანი სნაიპერის დუბლით კიევის „დინამოს“ გამოუყვანა — 5:0 და ზედიზედ, ყველა ტურნირში, მოგებულ შეხვედრათა რაოდენობა ცხრამდე აიყვანა ბურთების შეფარდებით 45:5(!).

რაც შეეხება ბავარიელთა ლიდერის შთამბეჭდავ პირად სტატისტიკას, იგი ასეთი გახლავთ: ბოლო 100 მატჩში — 11 გოლი; წლეულს ყველა საშინაო — 14 თამაშიდან 27 ბურთი; მიმდინარე სეზონშივე ყველა შეხვედრაში — 41 გოლი!

ჯგუფური რაუნდის II ტურის დანარჩენი შედეგები: **„ბენფიკა“ — „ბარსელონა“ 3:0 (კატალონიელები მეზობლებთან ბოლო 60 წელიწადში პირველად დამარცხდნენ), „ატალანტა“ — „იანგ ბოიზი“ 1:0, „მანჩესტერი“ — „ვილიარეალი“ 2:1, „ვოლფსბურგი“ — „სევილია“ 1:1, „ზალცბურგი“ — „ლილი“ 2:1, „იუვენტუსი“ — „ჩელსი“ 1:0, „ზენიტი“ — „მალმიო“ 4:0.**

უნიკალური საღვინე ხელადა საჩხერიდან

რამდენიმე წლის წინათ მდინარე ყვირილას მარცხენა მხარეს მშენებარე ბამბეულის კომბინატის ერთ-ერთ უბანზე მდებარე საბანკეტო დარბაზის მზაობის შემოწმებისთვის მე და ჩემი მძღოლი ბეჟან სამხარაძე საჩხერელ ძმაკაცებს — პავლე კურტანიძეს, ჯამბულ მარგველაშვილს და კაკო ნამგლაძეს — მდინარე ყვირილას პირას მდელოზე გაშლილ სუფრაზე გადავეყარეთ...



რა თქმა უნდა, მათი მიპატიჟება მივიღეთ და სუფრის დალოცვა ერთი ჭიქა ღვინით დავაპირეთ, მაგრამ მათ ჭიქა არ ჰქონდათ და ლამაზი ხელადა მომაწოდეს, იგი არ ჰგავდა იმერეთში გავრცელებულ ჩვეულებრივ ხელადას, ამ ხელადას, რომლის შესმასაც მე მთავაზობდენ, სახელური სატუჩის პირას აქვს მიბმული და მოხატულია მოწითალო საღებავით, შემკულია ფხური ორნამენტითა და კოპლებით. ვადღეგრძელე სუფრის „მბრძანებელნი“ და ვიკითხე — ვისია და რა წარმოშობისაა ეს ხელედა... ჯამბულ მარგველაშვილმა მიამბო , რომ მისი დღევანდელი სახლ-კარი გორისელი ექვთიმე წერეთლის (გიორგი წერეთლის მამა) კარმიდამოშია და იქ რომელიღაც ძველ დამხმარე შენობაში ნახა ეს ხელადა, ვთხოვე ჯამბულს, რომ ეს იშვიათი ნივთია და თუ მაჩუქებ უღრმესი მადლობელი დაგრჩებითქო. ჯამბულმ თავისი არაჩვეულებრივი იმერული გულრწფელობით მიპასუხა: თუ კიდე შესვამ ორ სადღეგრძელოს (ერთი უკვე შესმული მაქვს), შენთვის მიჩუქნიაო. გავიმეტე თავი ამ იშვიათი ხელადის გამო და იგი კარგახანია ჩემი კუთვნილებაა. ხელადა არც მეორე დღეს და არც შემდგომ, დიდი ხნის განმავლობაში, აღარ გამხსენებია, რაც ჩემი უყურადღებობის ბრალია, ახლა კი კოვიდ-19 ვირუსის გამო სახლში გამოკეტილმა, ყველაფერთან ერთად, უპირველესი ყურადღება ხელადას მივაქციე — ვფიქრობ, იგი რიტუალურია და როცა ვირუსი გაივლის, მისით ღვინის დაგემოვნებას ყველა ქართველს ვუსურვებ. ამჟამად მოგაწვდით ხელადის აღწერილობას და მონაცემებს, რომელიც შეჯერებულია და მრავალგზის შედარებული 1964 წლის „მეცნიერების“ მიერ გამოცემული „ქართული ხალხური კერამიკის“ კატალოგთან, სადაც XXIX ტაბულაში, № 3, აღრიცხულია მსგავსი საღვინე ხელადა.

აქ არ შევუდგებით ამ ხელადის აღწერას, ამჯერად ჩვენ ხელთ არსებული ხელადის აღწერილობას მოგაწვდით: უპირველესად აღვნიშნოთ, რომ ხელადას ყური (სახელური) ტუჩის პირასაა მიბმული, ხელადის სიმაღლეა 20 სმ., პირის დიამეტრი — 4 სმ. (ნისკარტიანად 6 სმ), მუცლის დიამეტრი — 38 სმ; ძირის — 7 სმ. ტევადობა 0,8 მილილიტრი. ხელადა შეიძლება მივიჩნიოთ საწესო ან საკულტო ჭურჭლად.

ცეზარ ლაშხი.

ამ წერილის გამოქვეყნების მიზანია დადგინდეს, არის თუ არა საქართველოს კერამიკულ წარმოებაში მსგავსი ჭურჭელი და თუ არის, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ: საჩხერე, სოფ. სხვიტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ცეზარ ლაშხი.

კოვიდსიკვდილიანობით იტალიასაც გავუსწარით!!!

საქართველომ, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, კოვიდით გარდაცვლილთა რიცხვით იტალიასაც გაუსწრო და მე-15 ადგილი დაიკავა. 27 სექტემბრის მდგომარეობით, პანდემიის დაწყებიდან დღემდე კოვიდმა მსოფლიოში სულ 4.763 მლნ ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის 8844 საქართველოში, რაც ყოველი 1 მლნ-დან 2222-ს ნიშნავს.

პანდემიის დაწყებიდან პირველი 6 თვის მანძილზე, საქართველო, ძალიან მკაცრი შეზღუდვების ხარჯზე, კოვიდთან ბრძოლაში ლიდერის პოზიციას ინარჩუნებდა. ინფიცირებისა და გარდაცვლილთა რიცხვით ქვეყნების ჩამონათვალში 150-ს მიღმა იმყოფებოდა და თითქმის კუნძულოვან სახელმწიფოებს უთანაბრდებოდა. სექტემბრიდან ყველაფერი აირია, ნოემბერ-დეკემბერში დღიურად იმაზე 3-ჯერ მეტი ინფიცირებისა და გარდაცვალების ფაქტი დასტურდებოდა, ვიდრე ჯამურად პირველ 6 თვეში.

ცალკეული პიკები თითქმის ყველა ქვეყანამ გამოიარა, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, განვითარებულ ქვეყნებში 2021 წლის გაზაფხულიდან ან ზაფხულიდან მაინც, მასობრივი ვაქცინაციის წყალობით სიკვდილიანობის კოეფიციენტი მკვეთრად შემცირდა. საქართველოში კი ფაქტობრივად უცვლელი დარჩა.

27 სექტემბრის მდგომარეობით სულ 6.1 მლრდ აცრაა ჩატარებული და მინიმუმ 1 დოზით პლანეტის მოსახლეობის 44.5%-ა აცრილი, ორივე დოზით 32.7%. საქართველოში კი 1.750 მლნ აცრაა ჩატარებული და მინიმუმ 1 დოზით 970 ათასი ადამიანია აცრილი, რაც მოსახლეობის 26.2%-ს უდრის. სრულად აცრილ პირთა რიცხვი კი 778 ათასს შეადგენს. ეს კი მოსახლეობის 21%-ა.

თუ ესპანეთში პირველი პიკის დროს, გასული წლის მარტში დღიურად საშუალოდ 8700 ადამიანი ინფიცირდებოდა და 880 იღუპებოდა, ბოლო პიკის დროს, 2021 წლის ივლისში ინფიცირების დღიურმა მაჩვენებელმა 25 000-ს მიაღწია, თუმცა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 115-მდე შემცირდა. პორტუგალიაში, თუ იანვარში ყოველდღიური სიკვდილიანობა 280-ს აჭარბებდა, ახლა ის 7-მდეა შემცირებული, საამიროებში ორნიშნა მსხვერპლი ბოლოს ივნისში აღირიცხა.

საქართველოსთვის იტალია და შვედეთი განსაკუთრებულ შემთხვევებს წარმოადგენს. გასული წლის მარტსა და აპრილში იტალიაში მდგომარეობა მართლაც ძალიან მძიმე იყო და დღიურად 800 ადამიანი იღუპებოდა, ახლა ეს რიცხვი 54-მდეა შემცირებული. პირველი ტალღიდან 1.5 წლის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მსხვერპლის ოდენობით საქართველომ იტალიას გაუსწრო. 27 სექტემბრის მდგომარეობით 1 მლნ-დან 2222 გარდაცვლილით საქართველო მე-15 ადგილზეა, ხოლო იტალია 1 მლნ-დან 2166 გარდაცვლილით მე-18 ადგილზე. იტალიის მსგავსად აქტიურად განიხილებოდა შვედეთის მაგალითიც, ქვეყნის, რომელმაც მკაცრ ლოკდაუნზე უარი თქვა და მინიმალური შეზღუდვებით შემოიფარგლა. მის მთავრობას მკვლელს და ადამიანების სიცოცხლით მოვაჭრეს ეძახდნენ. 1.5 წლის წინ შვედეთი მართლაც იყო პირველ ათეულში სიკვდილიანობის მხრივ, დღეს კი 1 მლნ-დან 1452 გარდაცვლილით 43-ე ადგილზეა. საქართველოში რომ შვედეთისნაირი სიტუაცია იყოს კოვიდით გარდაცვლილთა რაოდენობა ახლა 8884 კი არა 3511-ით ნაკლები, 5372 იქნებოდა.

სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირებისთვის მთელი მოსახლეობის და არა მხოლოდ სრულწლოვნების მინიმუმ 60%-ის, რეალურად კი როგორც პრაქტიკამ აჩვენა მინიმუმ 70%-ის სრული დოზით აცრაა საჭირო. იმისთვის რომ თუნდაც ახალ წლამდე მოსახლეობის 60% იყოს აცრილი, დამატებით 2.690 მლნ აცრა უნდა ჩატარდეს, რაც დღიურად 28.3 ათას აცრას გულისხმობს, ქვეყანამ ამ მაჩვენებელს აგვისტოში რამდენჯერმე მიაღწია, მაგრამ სექტემბრის მეორე ნახევარში 12-13 ათასამდე შემცირდა. ამ ტემპით წლის ბოლომდე მოსახლეობის 40%-ის ვაქცინირება მოესწრება მხოლოდ. თუ სამიზნე მაჩვენებლად 70%-ს ავიღებთ მაშინ დღიურად 36 ათასი აცრის საჭიროება დგება. იდეალურ, მაგრამ უკვე არარეალურ შემთხვევაში, მეხუთე ტალღის სიმძიმის თავიდან ასაცილებლად 1 დეკემბრამდე დღიურად 54 ათასი აცრა უნდა ჩატარდეს.

ანტივაქსერები ამტკიცებენ, რომ აცრილები მაქსიმუმ 2 წელიწადში დაიხოცებიან, ამ ლოგიკით მათ მაქსიმუმ 2 წელიწადში მინიმუმ 3.5 მლრდ ადამიანის დაკრძალვა მოუწევთ. დღეის მდგომარეობით სწორედ ამდენი ადამიანია მინიმუმ 1 დოზით აცრილი.

გიორგი ელიზბარაშვილი

ჩვენი ბოდიში

„საქართველოს რესპუბლიკის“ 30 ოქტომბრის ნომრის მე-11 გვერდზე დაბეჭდილ ჟურნალისტ ალექსანდრე შენგელიას კორესპონდენციაში „ქუთაისში მზეჭაბუკები დაბრუნდნენ“ გაიპარა უზუსტობა. წერილში შეცდომით იკითხება ქალაქ ქუთაისის ყოფილი თავკაცის მამუკა ასლანიკაშვილის ასაკი — 68 წელი... სინამდვილეში წლევანდელ ჯვართამაღლების დღეს მას საიუბილეო თარიღი — 75 წელი შეუსრულდებოდა.

რედაქცია და წერილის ავტორი ბოდიშს უხდიან გაზეთის მკითხველებსა და მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნის ყველა პატივისმცემელს ამ უნებლიე შეცდომისთვის.

სანთელი და არდავიწყება 75 წლის მზეჭაბუკ მამუკა ასლანიკაშვილს!

ბულაჩაურში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა მიმდინარეობს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს **წყალმომარაგების კომპანიამ დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბულაჩაურის წყლის სისტემის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები დაიწყო.**

სოფელ ბულაჩაურში, მოძველებული და ამორტიზებული სისტემის გამო, არსებული წყლის დებიტი მოსახლეობის სტაბილურ წყალმომარაგებას ვერ უზრუნველყოფს. პროექტი სატუმბო სადგურის, რეზერვუარებისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობას ითვალისწინებს. სამუშაოების შედეგად სოფელ ბულაჩაურის მოსახლეობა დაახლოებით, 3 000-მდე ადამიანი, 24-საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

განახლებული ცენტრალური პარკი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი გურჯაანში ცენტრალური სკვერისა და დასასვენებელი პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს. **გურჯაანის პარკის რეაბილიტაციის პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება დაახლოებით 3.6 მილიონი ლარია,** — ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გურჯაანის ცენტრალური დასასვენებელი პარკის საერთო ფართობი 9 ჰექტარია. პროექტის ფარგლებში, პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს დასასვენებელი ზონების, ბავშვთა ატრაქციონების მოწყობა, საზაფხულო კინოთეატრისა და ამფითეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე, სპორტული მოედნის მშენებლობა. პარკში განახლდება მწვანე საფარი, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები და ბორდიურები, დამონტაჟდება განათების ბოძები, განთავსდება სკამები და სანაგვე ურნები. პარკი დაიყოფა სხვადასხვა ტიპის სპორტული და კულტურული დანიშნულების სივრცეებად და შეემატება მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონა.

კასპში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობა აშენდება

კასპში ახალი სახანძრო-სამაშველო შენობის მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი და საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი მეზურნიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, პირადად გაეცნენ.

პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტი გამოიყო. კასპის სახანძრო-სამაშველო შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იქნება აღჭურვილი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მეხანძრე-მაშველების სამუშაო პირობებს. წლების განმავლობაში კასპში სახანძრო-სამაშველო სამმართველო ძველ შენობაში იყო განთავსებული, რომელიც მეხანძრე-მაშველთა მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲘᲓᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

რეპრეაციული სივრცის გაზრდის და სეზონურობაზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით, ბათუმში ცენტრალური პარკის, ახალი ტურისტული ატრაქციონის მშენებლობა იწყება.

თორნიკე რიჟვაძემ გადაწყვეტილების შესახებ აჭარის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამუშავდა ბათუმის პროექტი, რომელიც გაშენდება ქალაქის შიდა ნაწილში არანაკლებ 22 ჰა ტერიტორიაზე. შეიქმნება ტურისტული მიზიდულობის ცენტრი, რომელიც ეკონომიკური პროცესების გააქტიურებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს.

„ჩვენ ყოველდღიურად ვცდილობთ ტურიზმის ხელშეწყობას, განვითარებას, საზოგადოებისა და ქალაქისთვის ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნას. ურეხის და ე.წ.სტეფანოვკის დასახლებაში გაშენდება ახალი რეკრეაცია, ამ მიმართულებით ჩვენ ბოლო 1 წლის განმავლობაში აქტიურად ვმუშაობდით და დარწმუნებული ვარ, ეს ახალი ცენტრალური პარკი შექმნის ახალ მიზიდულობის ცენტრს ტურისტული თვალსაზრისით, ამასთან ჩვენს თანაქალაქელებს ექნებათ გართობისა და დასვენებისთვის ახალი, ძალიან მიმზიდველი სივრცე“, — განაცხადა რიჟვაძემ.



მიღწეულია შეთანხმება ინვესტორთან, რომლის მიხედვითაც ტერიტორიაზე აშენდება საბაგირო და დაუკავშირდება არგოს მთას, რითაც შეიკვრება ერთგვარი სამკუთხედი და საბაგიროს მეშვეობით ტერიტორია დაუკავშირდება ბულვარს. სახელმწიფო მიმდინარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწყობაში არანაკლებ 14 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს საბავშვო-შემეცნებითი მუზეუმის, საქართველოს ერთიანობის სიმბოლური ძეგლის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

ᲐᲭᲐᲠᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲝᲡᲙᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲚᲐ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲣᲛᲐᲡᲐᲠᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილ World Travel Awards უმასპინძლებს. ევროპის გალა ცერემონია აჭარაში 2023 წელს გაიმართება.

ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა.

„მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, 2023 წელს, ჩვენი რეგიონი, აჭარა და კერძოდ ბათუმი უმასპინძლებს მსოფლიოში ერთ-ერთ პრესტიჟულ, ტურიზმის ოსკარის გალა ღონისძიებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ ღონისძიებით, ჩვენ კიდევ უფრო მეტად დავაჩქარებთ როგორც ეკონომიკის, ასევე ტურიზმის აღდგენას. როგორც საზოგადოებას მოეხსენება, ბათუმმა 2019 წელს მიიღო ძალიან პრესტიჟული ჯილდო, როგორც ევროპაში ერთ-ერთმა ყველაზე მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ. ამ ღონისძიების ბათუმში გამართვით ჩვენ გვექნება საშუალება, ვუმასპინძლოთ არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, ტურიზმის ინდუსტრიისა და მედიის წარმომადგენლებს“, — განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲞᲝᲔᲢᲘ ᲓᲐᲗᲝ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

29 სექტემბერს, ვატიკანში, რომის პაპ ფრანცისკესთან პოეტ დათო მაღრაძის აუდიენცია შედგა. შეხვედრის მთავარი გზავნილი იყო ფრაზა დათო მაღრაძის პოემიდან „ბარაქიანი მიწა“ — მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად.

პოეტმა პაპს საკუთარი ხელმოწერილი წიგნი და დეკანოზ ალექსანდრე გალდავას შესრულებული ხატი გადასცა. პაპმა ფრანცისკემ დათო მაღრაძეს ჯვარი უსახსოვრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ელჩი ვატიკანში, ქეთევან ბაგრატიონი და პოეტის მეუღლე, ლალი ანდრონიკაშვილი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საქართველოში გერმანული დიაგნოსტიკური ცენტრი გაიხსნება, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ პროექტის ავტორებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„დღეს ჩვენ საქართველოს მედიცინისთვის და მოსახლეობისთვის გვაქვს ძალიან კარგი სიახლე. ეს სიახლე შეეხება „დოიჩე დიაგნოსტიკურ ცენტრუმის“ გახსნას საქართველოში, რომლის ინიციატორიც არის ემიგრანტი, პროფესორი გრიგოლია. ეს არის ნამდვილად სასიკეთო პროექტი, რომელიც საქართველოს მედიცინას და ექიმებს აიყვანს გერმანულ ხარისხზე და ჩვენი პაციენტები შეძლებენ, გამგზავრების გარეშე მიიღონ მაღალკვალიფიციური დიაგნოსტიკა, ასევე კონსულტაციები სხვადასხვა დარგის ექიმებისთვის. არის მრავალი სხვადასხვა ინიციატივა, რომელსაც სახელმწიფო მიესალმება. აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი ის, რომ ეს დიაგნოსტიკური ცენტრი ბუდეს დაიდებს საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგში. ეს იქნება ბაზა ყოველივე ამისი და სახელმწიფო იძლევა გარანტიას, რომ მათ ექნებათ ყველანაირი ხელშეწყობა, რომ როგორც კერძო სექტორს, ასევე პაციენტებს და ექიმებს ეს საყოველთაო სიკეთე ჰქონდეთ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი“, — განაცხადა ტიკარაძემ. პროექტის ინიციატორი ქართველი ემიგრანტი გიორგი გრიგოლიაა, რომელიც საქართველოში გერმანელ კოლეგასთან ერთად ჩამოვიდა.

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲐᲜᲢᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ?

ნორვეგიელი ექსპერტები მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის **შესაძლო ლაურეატებს ასახელებენ. ნორვეგიელი ექსპერტები შესაძლო ლაურეატებს შორის ბელარუსის ოპოზიციის ლიდერს სვეტლანა ტიხანოვსკაიას, ეკოაქტივისტ გრეტა ტუნბერგსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“-ს ასახელებენ.**

მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს ნორვეგიის პარლამენტის მიერ დანიშნული ხუთკაციანი კოლეგია ირჩევს, რომელიც ოსლოში 8 ოქტომბერს გამოცხადდება.

ოსლოს მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა ჰენრიკ ურდალმა განაცხადა, რომ პრესის თავისუფლებისთვის მებრძოლი ჯგუფები, როგორიცაა „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) ან „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“ (CPJ) მთავარი პრეტენდენტები არიან. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლამ ასევე შეიძლება აღიარება მიიღოს. ჰენრიკ ურდალი და ასლე სვინი ასევე მიიჩნევენ, რომ ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი, სვეტლანა ტიხანოვსკაია კიდევ ერთი მთავარი პრეტენდენტია. **„ბელარუსს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მჩაგვრელი რეჟიმი ჰყავს და უმთავრესად არაძალადობრივი ოპოზიცია. ეს იქნება პრემია, რომელსაც მთელ მსოფლიოში გამოხმაურება მოჰყვება“,** — ამბობს ჰენრიკ ურდალი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 ოქტომბერს

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
აშშ დოლარი - 3.1228; ევრო - 3.6409;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2498;
100 რუბლი - 4.2924; თურქული ლირა - 0.3525;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8395;
1000 სომხური დრამი - 6.4495.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+14

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge